ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 24 მარტი 1998 №43 (578) ფასი 40 თეთრი

## საქართველო — უკრაინა
## თანხმობა თუ ისევ უარი?

მას შემდეგ, რაც ეროვნულ ნაკრებს ირანული ტურნირი ჩაეშალა, მხოლოდ 30 მაისის იმედად დავრჩით. ნაკრების მომზადებისთვის ერთი ამხანაგური შეხვედრის ჩატარება რომ არ კმარა, ყველამ კარგად უწყის. სათადარიგოდ ჩილეს ვარიანტი კი იყო მოტოვებული, მაგრამ ჩვენი გუნდის ხელმძღვანელებს მაინცდამაინც ვერ ხიბლავთ იქ თამაშის პერსპექტივა. წადი-წამოდი, თანაც ისეთ დღეებში, რომელიც უეფას შედგენილ კალენდარს არ ემთხვევა, თითქმის ულეგიონერებოდ, მეტად შესუსტებული გუნდით, სულაც არ გახლავთ სახარბიელო. მაგას კიდევ ის სჯობს, აქვე, მეზობლებს გავეჯიბროთ. ეროვნული გუნდის თავკაცები ფიქრობენ, ვარიანტებს არჩევენ, ეძებენ.

ადრე უკრაინის ფეხბურთის ფედერაციასთან გვქონდა მიმოწერა, ამხანაგურ თამაშს ვთავაზობდით, მაგრამ მაშინ უკრაინელებმა თავი შეიკავეს. კიევის „დინამო" ჩემპიონთა ლიგაში გვყავს, ბიჭებს ვერ გადავტვირთავთო. „დინამო" ჩემპიონთა ლიგას შემოდგომამდე დაემშვიდობა და იქნებ ახლა მაინც დაგვყაბულდნენ. ნათქვამია, ცდა ბედის მონახევრეაო და 20 მარტს ჩვენებმა უკრაინაში მორიგი ფაქსი აფრინეს.

ფეხბურთის ფედერაციამ კიეველ კოლეგებს სასპარინგო დღედ სამი თარილი შესთავაზა. 20-21 აპრილი, 6-7 ივნისი და 18-19 აგვისტო უეფას მიერ შედგენილ კალენდარს ემთხვევა, ესე იგი გუცაევს და კომპანიას ლეგიონერთა გამოძახების უფლებაც ექნებათ. ჩვენები პასუხს დღე-დღეზე ელიან. იმედია, უკრაინა ახლა მაინც არ გვეტყვის უარს. ჩვენთან გაჯიბრება მათ ინტერესებსაც უნდა ემთხვეოდეს.

## რწმენის გადაგდება იქნება?
### ქუთაისის შრომითი აღზრდის უნივერსიტეტი აშვეთიას ტრანსფერიდან კუთვნილ წილს ითხოვს

საქართველოში კანონის დიქტატურა, მგონი, არასდროს ყოფილა. ჩვენში წესკანონთა უზენაესობას მხოლოდ სიტყვიერად თუ აღიარებენ. საკანონმდებლო კრიზისის დასაძლევად კუს ნაბიჯები იდგმება. რა გასაკვირია, ასე იყოს სპორტშიც, კერძოდ, ფეხბურთში.

სწორედ ამ პრობლემამ შვა ამასწინანდელი აურზაური. სპორტის დეპარტამენტსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის სუბორდინაცია არც გარკვეულა, ისე ჩაცხრა დაპირისპირება. ფედერაცია საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს არ დაემორჩილა. ამ კანონის სადავო მუხლი კი სულაც საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლომ სარჩელი განხილვის ღირსადაც არ ცნო, საბაბი ამად არა ღირსო.

მოკლედ, ფედერაციამ უეფას კანონებს მისდია და დეპარტამენტის შემოტევა ქვეყნის პრეზიდენტის ჩარევით მოიგერია. ესეც იმის დასტური, რომ ჩვენს ქვეყანაში კანონი ყოველთვის არ კანონობს, ვისაც როგორ სურს, ისე ჭრის-კერავს.

რაც ვთქვით, ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ გაურკვევლობა რომელიმე კლუბსა და ფეხბურთელს, კლუბსა და ფედერაციას, ან თვით კლუბებს შორისაც ჩამოვარდეს. ყველაზე ხშირი მაინც კლუბსა და ფეხბურთელს შორის ატეხილი დავაა. ასეთი დავისას უმეტესად ფეხბურთელია მართალი, რადგან კლუბი კონტრაქტით დაპირებულ პირობებს არღვევს. ამ პრობლემამ თვით საქართველოს ნაკრებს დააკარგვინა მოთამაშე. „სამტრედიიდან" გაჭირვებით თავდახსნილმა გია ჯიშკარიანმა თამაშის ხალისი დაკარგა, დავით ცომაიას კი უძლიერესთა შორის დაბრუნება მეორე ჯგუფის გავლით მოუხდა. ამ პრობლემამვე ვალტერ გუჩუა ექვსი თვე უქმად ამყოფა და, ვინ მოთვლის, ასეთი შემთხვევა სხვაც რამდენი იყო.

იშვიათად, მაგრამ მაინც ფეხბურთელიც სცოდავს. ყველაზე ხშირად კი მოთამაშე იმაშია დამნაშავე, რომ კონტრაქტის პირობებს ბოლომდე არ ეცნობა და არ ისიგრძეგანებს იმ პუნქტებს, რაზეც თანხმობას ხელმოწერით ადასტურებს. ამ საქმის უცოდინარი და გამოუცდელი მოთამაშენი ხანდახან ლამის სიცოცხლის ბოლომდე აფორმებენ კონტრაქტს კლუბებთან. ისეც მომხდარა, მოთამაშეს კონტრაქტზე თანხმობა მიუცია, კლუბს კი ცარიელ გრაფაში თავად ჩაუწერია ხელშეკრულების ვადა.

ყოფილა კურიოზებიც, ერთ მოთამაშეს, კონტრაქტს ხელი რომ მოაწერა, სთხოვეს, ახლა გარკვევითაც დაწერეო, მანაც ფაქსიმილეს ნაცვლად „გარკვევით" მოაწერა. და თქვენ ფიქრობთ, მსგავსი შემთხვევები, იშვიათობაა? ნამდვილად არა.

მიხეილ აშვეთია. აი, ფეხბურთელი, რომლის გარშემო აურზაური დღემდე არ წყდება. მიშა ბევრი ამოგზაურეს და ამით მის ზრდას გარკვეულწილად ხელიც შეუშალეს. ყველა, ვის ხელშიც ამ ბიჭმა გამოიარა, მის ოთოსნირად გაყიდვას ცდილობდა, მაგრამ ჯერაც არ გაყიდულა. აქამდე ისე ჩანდა, აშვეთია იურიდიულად „ტორპედოს" ეკუთვნის. მაგრამ სხვაგვარად ფიქრობს მიშას პირველი კლუბი „რწმენა".

იხილეთ მესამე გვერდი

## სუპერლიგა, სუპერმილიონები

ევროპული ფეხბურთის ცის კაბადონზე სწამთ, რომ ხუთ წელიწადში კონტინენტის სუპერლიგა ამოქმედდება. ასეთია დიდ ბიზნესში მოტრიალე გუნდების „ბარსელონას", „მანჩესტერ იუნაიტედის", „იუვენტუსის" და მსგავსთა ფიქრი.

საიდან ვიცით ეს? გამოკითხვა შეხედულებათა შესწავლის ინსტიტუმა, MORI-მ ჩაატარა და შედეგად მიიღო, რომ კითხვადასმულ ორგანიზაციათა 70-მა პროცენტმა 2002 წელი მიიჩნია სუპერლიგის დაარსების თარიღად.

საფინანსო ფირმა-კორპორაციათა და გავლენიან საინფორმაციო სააგენტოთა გარდა რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღეს ისეთმა ძლიერმა საფეხბურთო კლუბებმაც, როგორებიც არიან, ვთქვათ, „მილანი" და „ლივერპული". ყველას პასუხი ერთმანეთს გავდა — სუპერლიგის დაარსების ძირითადი მიზეზი კომერცია იქნება.

გამოკითხულთა 80 პროცენტის აზრით, სუპერლიგა მის მონაწილე კლუბებს ისეთ შემოსავალს მოუტანს, დღევანდელი ჩემპიონთა ლიგა მონაგონი იქნება.

MORI-ს რეფერენდუმი უფრო შორსაც წავიდა და მომავალი სუპერლიგის შესაძლო სტრუქტურაზეც კი ჩამოაგდო სიტყვა. გაირკვა, რომ კითხვადასმულნი უპირატესად ორი, უმაღლესი და პირველი, 16 გუნდიანი ლიგების ჩამოყალიბებას ვარაუდობენ და თვლიან, რომ უმაღლესის ბოლო ადგილზე გასულნი პირველში უნდა ჩავიდნენ, პირველის პირველთათვის კი ელიტის ზიარობა იქნება უპრიანი.

„მილანის" პრეზიდენტს, იტალიის ყოფილ პრემიერ-მინისტრს სილვიო ბერლუსკონის უთქვამს: — შეიქმნება ისეთივე პროფესიული ლიგა, როგორიცაა ლიგა ამერიკული ფეხბურთისა, მილიონობით ტელემაყურებელს და დოლარს რომ იკრებს.

გამოკითხულთა ორი მესამედი ფიქრობს, რომ სატელევიზიო და სატელიტური გარიგებანი თავად სუპერლიგის ბოსებმა უნდა ჩარხონ, ხოლო ერთი მესამედი ამბობს — კლუბებმაო.

და ვინ თქვა, სუპერლიგა არ შეიქმნებაო? 14-მა პროცენტმა.

სულ 35 ორგანიზაცია გამოკითხეს.



გუშინწინ რუსთავში: „რუსთავი" — „დილა".
გორელთა კარში პენალტის დანიშვნას დიდი აურზაური მოჰყვა. თარხნიშვილმა (№5) თამაში მიატოვა და „დილამ" მატჩი ათი კაცით ჩაამთავრა

## 18 ტური

**გუშინ**
სამგურალი 0:0 მერანი

**გუშინწინ**
ლოკომოტივი 0:1 ბათუმი
გურია 1:1 ოდიში
მაღაროელი 1:2 კოლხეთი
მეტალურგი 1:0 დილა
სიონი 1:0 თსუ

**დღეს**
ვიტ ჯორჯია - ტორპედო
დინამო - მარგვეთი
მცხეთა, „არმაზი"

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 17 | 14 | 2 | 1 | 43:7 | 39 |
| ბათუმი | 18 | 11 | 5 | 2 | 34:11 | 38 |
| ოდიში | 18 | 11 | 2 | 5 | 27:25 | 35 |
| კოლხეთი | 18 | 10 | 3 | 5 | 38:18 | 33 |
| ტორპედო | 17 | 8 | 6 | 3 | 29:16 | 30 |
| თსუ | 18 | 8 | 4 | 6 | 22:14 | 28 |
| ლოკომოტივი | 18 | 6 | 5 | 7 | 19:25 | 23 |
| ვიტ ჯორჯია | 16 | 5 | 7 | 4 | 17:13 | 22 |
| მერანი | 17 | 7 | 5 | 5 | 22:18 | 21 |
| დილა | 18 | 6 | 2 | 10 | 16:26 | 20 |
| სამგურალი | 18 | 5 | 4 | 9 | 19:33 | 19 |
| სიონი | 18 | 6 | 5 | 7 | 27:22 | 18 |
| რუსთავი | 18 | 6 | 0 | 12 | 16:31 | 18 |
| გურია | 18 | 3 | 6 | 9 | 20:36 | 15 |
| მაღაროელი | 18 | 3 | 2 | 13 | 14:41 | 11 |
| მარგვეთი | 17 | 1 | 4 | 12 | 13:40 | 7 |

„დინამოს", „მერანს" და „სიონს" დაკლებული აქვთ 5-5 ქულა

წყალტუბო
„26 მაისი"
23 მარტი

**სამგურალი 0:0 მერანი**

**სამგურალი:** ბობოხიძე, გ. ჯანელიძე, გ. თევზაძე, კოლუაშვილი (ვ. ჯანელიძე 55), ქელიძე, ძაგნიძე, ზ. ქუთათელაძე, ფხაკაძე, შველიძე, ხურცილავა (კ. ჯანაშია 74), დარსაძე (თევდორაძე 46)
**მერანი:** გვენცაძე, ივანიშვილი, ე. ალადაშვილი, გოგიტაძე, გენაძე, აბაზაძე, კაპანაძე (ბუხრიკიძე 85), ინიაშვილი, მესხი (ჩიგოშვილი 76), მაზანაშვილი, დავითაშვილი (ბერაია 89)
**გაფრთხილება:** ძაგნიძე, გ. ჯანელიძე, გენაძე
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამიდან)

**იუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

სტატისტიკას თუ დავუჯერებთ, „სამგურალი" ის გუნდია, სტუმრად თამაში სხვებზე მეტად რომ უჭირს. შეუძლია, ჩემპიონატი ისე გალიოს, გასვლაზე საერთოდ ვერ იხეიროს. თუ მოხდა და ივარგა, მხოლოდ ერთი-ორჯერ. თუმცა მიმდინარე გათამაშებაში წყალტუბოელებს ამ უსიამო ტრადიციის დასარღვევად კარგი შანსი გაუჩნდათ. საქმე ის არის, რომ „სამგურალმა" უკვე ორჯერ იმარჯვა სტუმრად. „მერანს" დააყრევინა ფარ-ხმალი. ეს ამბავი ამ შვიდი თვის წინ კი მოხდა, მაგრამ თბილისელებს, ალბათ, ჯერაც არ განელებიათ მარცხის სიმწარე. იმ თამაშში მათ დიდი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მაინც მშრალზე დარჩნენ. წყალტუბოელები არ მალავენ: მაშინ მეკარემ, მამუკა თევზაძემ გვიხსნა, ის, რომ არა, სამის კი არა, ქულის წამომღებნიც არ ვიყავითო.

## ვითომ ქარის ბრალი იყო?

გუშინდელ მეტოქეთა პირველი წრის მატჩის გმირი ახლაც „სამგურალშია", ოღონდ ეს არის, ძირითადში ველარ ხვდება. ხელმძღვანელობა უფრო ახალგაზრდა ბობოხიძეს ანდობს კარს. რამდენიმე დღის წინ გუნდმა ერთი მეკარეც დაიმატა, სამტრედიელი ზვიად სტურუა. ოქმშიც ის იყო შეყვანილი შემცვლელად.

მეკარეებზე საუბარი შემთხვევით არ დაგვიწყია. სადავო არ არის, ბობოხიძე მართლაც პერსპექტიული გოლკიპერია. ამას ბევრი სპეციალისტი აღნიშნავს. ისიც ფაქტია, რომ გამოუცდელობის გამო მას სტაბილურობა აკლია. გუშინ ბობოხიძე რამდენიმე ეპიზოდში აშკარად შეცდა და ეს შეცდომები „სამგურალს" კინაღამ ძვირად დაუჯდა. პირველ ტაიმში თამაში ისედაც სტუმართა უპირატესობით მიმდინარეობდა. მე-9 წუთზე მერანელებმა სწრაფი შეტევა განახორციელეს, დავითაშვილმა ფლანგიდან კარგად გაუგდო მაზანაშვილს, რომელმაც შორიდან, დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერად დაჰკრა, ბურთი ოდნავ გასცდა ხარიხას. მე-15 და მე-20 წუთებზე მასპინძელთა მეკარემ გამოსვლაზე თამაში სცადა, მაგრამ კაპანაძის მარჯვენიდან ჩაწოდებულს ვერც პირველ შემთხვევაში მისწვდა და ვერც მეორეში. ბობოხიძის იღბლად, კაპანაძეს ჯერ პარტნიორებმა უმტყუნეს, მერე კი ვეტერანმა გრიგოლ თევზაძემ იხსნა თავისიანები, როდესაც ცარიელ კარში მიმავლი ბურთის მოგერიება მოახერხა. კიდევ ერთი სახიფათო მომენტი ტაიმის მიწურულს შეიქმნა და ისევ „სამგურალის" კართან. მაზანაშვილმა საკმაოდ შორიდან და მახვილი კუთხიდან მოჭრილად დაარტყა საჯარიმო, ბურთი ხარიხამ აისხლიტა. შესვენებამდე მასპინძლებს ხეირიანად არც კი შეუტევიათ, კარში დასარტყმელად კი მხოლოდ ორჯერ მოიცალეს. ფხაკაძეს 30-ე წუთზე შორიდან მეტად არაზუსტი გასროლა გამოუვიდა, ხოლო გივი ჯანელიძემ საჯარიმოდან ააცილა. სულ ეს იყო. წყალტუბოელებს თამაშში, შესაძლოა, აღმოსავლეთის ძლიერმა ქარმა შეუშალა ხელი, რომელიც პირველ ტაიმში მათი კარის მიმართულებით უბერავდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მეორე ნახევარში თამაში გათანაბრდა, თუმცა საერთო ჯამში იგი უსახური იყო. მეტოქესთან ერთად „მერანს" ქარიც ეწინააღმდეგებოდა. დრო უმთავრესად ბურთის გადაგდება-გადმოგდებაში გადიოდა. მაგრამ ასეთ ვითარებაშიც შეიქმნა რამდენიმე ეპიზოდი, რომელთაგან მხოლოდ სამს გამოვყოფდი. 54-ე წუთზე დავითაშვილი გავიდა გარღვევაზე, მაგრამ „სამგურალის" საჯარიმოს წინ მას ბურთთან ბობოხიძემ დაასწრო და მოიგერია, თუმცა მოგერიებულს მაზანაშვილი დაეპატრონა და ცარიელი კარისკენ გაგზავნა, მანძილი შორი იყო და მოიერიშეს სიზუსტე დააკლდა. 62-ე წუთზე მასპინძელთა გამთამაშებლის, ფხაკაძის საჯარიმოს შიგნიდან სახიფათოდ დარტყმული თბილისელთა მცველს მოხვდა. შეხვედრის უკანასკნელ წუთზე მასპინძლებმა კუთხური გაითამაშეს, საჯარიმოში ჩაწოდებულს ქუთათელაძე დაუხვდა, რთული მდგომარეობიდან დარტყმაც მოახერხა, თუმცა ააცილა.

მეტოქეებმა თითო ქულაც ჩაიწერეს აქტივში. შედეგით უკმაყოფილო, არც სტუმარი დარჩენილა და არც მასპინძელი.

## პლეი-ოფს ხვალ ფულიანები იწყებენ

კალათბურთის გულშემატკივრები მოუთმენლად ელიან საქართველოს პირველობის პლეი-ოფის მატჩებს. წინასწარ ცნობილი იყო, რომ ეს მატჩები 15 მარტიდან დაიწყებოდა, შემდეგ კი ეს ვადა კიდევ 10 დღით გადაიწია. საქმე ისაა, რომ გუნდებმა პირველობაში მონაწილეობისთვის უნდა შეიტანონ გარკვეული თანხა, რომელიც მატჩების მომზადებას და გამართვას ხმარდება. ჩვენს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს კი დავალიანება დაუგროვდათ, ამიტომ, როგორც კალათბურთის ფედერაციაში გვითხრეს, გუნდები მაშინ გააგრძელებენ ბრძოლას, როდესაც ვალს გაისტუმრებენო. თუმცა, ბოლო მომენტში საქმე მაინც ისე მოგვარდა, რომ პლეი-ოფის მატჩები 25 მარტიდან დაიწყება. ასპარეზობაში ჯერ ის ოთხი გუნდი ჩაებმება, რომლებსაც ფედერაციისა ალარაფერი მართებთ. დანარჩენებს კი კიდევ აქვთ დრო, ეს დავალიანება დაფარონ. მაშ ასე, გუშინ მხოლოდ ის იყო გარკვეული, რომ ხვალ, 25 მარტს ერთმანეთს შეხვდებიან: „*აზოტი*" — „*მაკაბი*", *თსუ* — *სდასუ*. იმის მიხედვით, როდის შემოიტანენ დანარჩენი გუნდები საჭირო თანხას, პლეი-ოფის კალენდარიც საბოლოოდ დადგინდება.

# ჯამარაული

## ტრაბზონით და უტრაბზონოდ

გუცაევის თავკაცობით ეროვნული გუნდი პირველ მატჩს თამაშობდა ლატვიასთან. მეორე ტაიმის შუაგულში გოჩა ჯამარაულმა, იმ დღეს გამთამაშებლობა რომ ევალა, ბურთი მეტოქის საჯარიმოს მარჯვენა კუთხესთან მიიღო. ლატვიელი ისაკოვი თავქუდმოგლეჯილი გაქანდა მისკენ. ფეხის ერთი მოძრაობა და მცველი კუთხურის ხაზისკენ გასრიალდა — ბურთი ფეხებშუა გაუძვრა, ისაკოვმა იხტიბარი არ გაიტეხა, უკან გამოიქცა — ჯამარამ იგივე გააკეთა, მერე კვლავ მოტრიალდა, აშკარად გოჩას ფეხს უმიზნებდა თავის მარჯვენას, მაგრამ ჯამარაულმა ესეც გაითვალისწინა, რომ ვიტყვით ხოლმე, სასტიკი „პად სებია" დაურტყა... ისაკოვმა თავი ვეღარ შეიკავა, მოწყვეტით ძირს დაენარცხა, გოჩასაც ხელს აღარავინ უშლიდა, ბურთი გაისწორა და ქართველებს მოგვაგებინა.

ამგვარი რამ ჯამარაულს ხშირად ჩაუდენია, თუ იშტაზეა, მისი გამჩერებელი ხომ არავინაა. მალტაზე სწორედ ასე იყო. იმას აკეთებდა, რაც უნდოდა, მაშინაც კი, როცა გუცაევმა ამპლუა შეუცვალა და მარჯვენა ჰავბეკად გამოსცადა. მაშინ იგი ახალტრავმამოშუშებული გახლდათ, ეჭვიც გვეპარებოდა, მუყესებნაოპერაციევი ნორმალურად თამაშს თუ შეძლებდა. ეჭვი თავადვე გაფანტა, არავისთვის მიუცია საბაბი, ეთქვა, ჯამარაული ფორმიდან ამოვარდნილაო. კუნძულზე გოჩა ორ-სამ ქართველთან ერთად ყველა გუნდის ფეხბურთელებიდან გამოირჩა. მას შემდეგ ეროვნული გუნდი აღარ შეკრებილა. ფეხბურთელები თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ, ჯამარამაც ტრაბზონს მიაშურა, რათა იქაურებთან ერთად საჩემპიონოდ იბრძოლოს. ჩვენ საშუალება არ გვაქვს, ჩვენებურთა თამაშებს რეგულარულად ვუცქიროთ. ისევ სატელევიზიო მიმოხილვიდან, თვითმხილველთა ნაამბობიდან თუ შევიქმნით წარმოდგენას უცხოელ ქართველთა ბურთაობაზე.

ვერ გეტყვით, საიდან, როგორ გავრცელდა ინფორმაცია, მაგრამ ფაქტი კია — ამბობენ, გოჩა ჯამარაულით ინგლისის პირველი დივიზიონის „სანდერლენდია" დაინტერესებულიო. გუშინ ვეღარ მოვითმინეთ და ბოლო ტურში „დარლდანელსფორთან" სტუმრად დამარცხების შემდეგ ტრაბზონში გვიან ღამით დაბრუნებულ ჯამარას შევეხმიანეთ — მე არაფერი მსმენია, არც ვინმე დამლაპარაკებია, არც ის ვიცი, ვინ თქვა, თითქოს „სანდერლენდს" ჩემთან ურთიერთობა მოსურვებიაო — გვითხრა ხასიათწამხდარმა გოჩამ. ნაღვლიანი ხმა ჰქონდა, საუბრის განწყობაზე არ იყო. გასაკვირი არც არაფერია, ჩემპიონობის ერთ-ერთმა რეალურმა კანდიდატმა რიგითი „დარდანელი" აჯობა და ლიდერს სამი ქულით ჩამორჩა. არადა, რამდენჯერ მიეცა ქართველის გუნდს კონკურენტთაგან საკმაოდ მოშორების საშუალება. ვერ გამოიყენეს. ჯამარაულიც ამას განიცდიდა — ცენტრის ხაზი არ გადმოუკვეთიათ, მთელი თამაში ჩვენი უდავო უპირატესობით მიმდინარეობდა, 5:0 უნდა მოგვეგო, ორჯერ დაგვირტყეს და ორჯერვე შეგვიგდეს. მე შეუცვლელად ვითამაშე, მწვრთნელიც კმაყოფილი დარჩაო, გვითხრა, თან დასძინა — აქაურები გიჟებს ჰგვანან, ჩემპიონობა ძალიან გაგვიჭირდება, ფაქტობრივად, პირველობის მინიმალური შანსიღა დაგვირჩაო. ჩვენ კი ერთი სული გვაქვს, როდის მოშორდება ბოლოი ქართველი



გოჩა ჯამარაული

ტრაბზონელებს. ეს ნამდვილად არ არის ის კლუბი, სადაც ჯამარაული გაიბრწყინებს და თავის შესაძლებლობებს სრულად გამოაჩენს. თანაც, უმადურები არიან, გუნდში გოჩას დარი ფეხბურთელი გყავდეს და ვერ გამოიყენო? ისე, თუ მოინდომებ, შეუძლებელი არაფერია. თურქებიც, ეტყობა, მეტად მოწადინებულნი არიან, გოჩა სათადარიგოთა სკამზე რომ გაამწესონ. თურქეთში ამანაც დაგვარეკინა, მაგრამ როცა გავიგეთ, შეუცვლელად უთამაშია, ვიფიქრეთ, ჭკუაზე მოსულან მეზობლებიო. ვნახოთ, მომავალ მატჩებში რას მოიმოქმედებს ტრაბზონის მწვრთნელი. ეჭვის შეტანა უსაფუძვლო იქნება, ჯამარაულის თამაშით გუნდიც ისიამოვნებს და ეს ფეხბურთელსაც წაადგება. თავად გოჩა თავმდაბალია, როცა ვკითხეთ, როგორ ფორმაში ხარ, მალტისებურად თუ ირჯებიო, გვიპასუხა, რა ვიცი, ეგ ხალხის შესაფასებელია, მწვრთნელებისა და ქომაგებისო. რაც შეეხება ძველ ტრავმას, ერთი თვე რომ უსაქმოდ დატოვა, ამის თაობაზე დაგვამშვიდა, მთლიანად გამოვჯანმრთელდი, არაფერი მაწუხებსო. დამშვიდებით კი დაგვამშვიდა, მაგრამ თავად გუნება წაუხდა — ტრავმას ნუღარ გამახსენებთო. საუბრის ბოლოს ერთიც ვკითხეთ: „სანდერლენდი" „სანდერლენდად", მაგრამ სხვა წინადადებები ხომ არავის შემოუთავაზებია, სეზონის ბოლო ახლოვდება, „ტრაბზონის" დატოვებას თუ აპირებ? — ჯერჯერობით რეალური არაფერი ჩანს, უკეთესი გუნდი თუ დამპატიჟებს, წავალ, ან არადა... გუნდში ისედაც ცუდი სიტუაციააო. ერთი-ორი კიდევ ვთქვით და ერთმანეთს დავემშვიდობეთ.

მეტს აღარ დავამატებთ. ვინ იცის, ასეთი პატარა წერილიც უკვე მერამდენედ იბეჭდება, შინაარსიც, ჩვენი სურვილის დარად, თითქმის იგივეა — როგორმე გოჩა ჯამარაულმა თავისი კლუბი და თამაში იპოვოს, ისეთი, როგორიც მალტის „ტა ქალზე". მერე ისაკოვები ფეხებშუა ბურთის გაძვრენასთან, „პად სებიასთან", ლამაზ გოლებთან და ჭკვიანურ პასებთან ერთად მონაგონი იქნება. ჯამარაულს ეს შეუძლია, ღმერთმა ნუ ქნას, მისი კარიერის დასრულების შემდეგ ეთქვათ — გახსოვს, როგორი ფეხბურთელი იყო, ვარსკვლავობა შეეძლო, მაგრამ დაიკარგაო.

კობა ინასარიძე

# შელიას ძაფები ამოუღეს, მაგრამ...

მურთაზ შელიას მძიმე დაშავების ამბავი უკვე გაუწყეთ. მყესებისა და ჯვარედინი იოგების ტრავმა როგორი მოსაშუშებელია, ფეხბურთში გარკვეულმა ხალხმა კარგად უწყის. შელიაც ამაღაა მოწყენილ-დაღონებული. მართალია, ორიოდ დღის წინ დასტაქრებმა ნაკერიდან ძაფები ამოუღეს, მაგრამ არც ესაა დიდი შეღავათი. საქართველოს ნაკრებისა და „სიტის" მცველმა ახლა ოთხი კვირა ნატკენი ფეხის გაუნძრევლად უნდა გაატაროს. მერე კი... როგორც თავად შელიამ თქვა, 70 პროცენტით იოგებიც გაწყვეტილი აქვს და თუ ეს დადასტურდა, ნახევარი წელი მოუწევს იძულებით დასვენება. აქედან გამომდინარე და აღდგენითი პროცესის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, მისი რუსეთის ნაკრებთან თამაში გამორიცხულია. „სიტის" ყოფილი პრეზიდენტი ფრენსის ლი და მწვრთნელი ჯო როილიც დამწუხრებულან ამ ფაქტთან დაკავშირებით. მათ თავადვე უნახულებიათ შინ მურთაზი. ისინი ერთობ ნერვიულობენ და უთქვამთ, ჩვენი ცოდვები ეწიოს იმ თავდამსხმელს, ვინც განზრახ ჩაგარტყა ფეხიო. თურმე მეტოქე ფეხბუთელს „სიტელთათვის" სამაგიერო გადაუხდია — ერთ-ერთ მანჩესტერელს მოწინააღმდეგისთვის ისევე ჩაურტყამს რამდენიმე წუთით ადრე, როგორც ჩვენებურის სიტუაციაში მოხდა. იმ უიღბლოსთვის კი ტრავმა საბედისწერო გამომდგარა, შელიას თქმით, იგი სამუდამოდ დაემშვიდობა ფეხბურთს, ხოლო თავად რა ბედი ეწევა, ჯერაც არ იცის. ცუდი ამბავია, მაგრამ რას ვიზამთ, ახლა ჩვენს მტერს შელიასთანა ტკივილები.

რაც შეეხება გიო ქინქლაძეს, მისი ამბავი კვლავ გაურკვეველია, კოჭის ტრავმამ შეახსენა თავი და, შელიას არ იყოს, ისიც უსაქმოდაა — ახალი არაფერიაო — თქვა ქინქლაძემ.

კობა ინასარიძე

# ხომ არ გვიანდება, ბატონებო?!

ჩვენი ფეხბურთის მომავალი დიდი ბურუსით არის მოცული. არავინ იცის, რა ელის ქართულ ფეხბურთს. არა, ის ყველამ კარგად უწყის, რომ ჩემპიონატის დონე დღითიდღე ეცემა და თუ ასე გაგრძელდა, მალე ბანგლადეშში გაგვისწრებს.

ბევრი შემოგვედავება, ხალხო, ფიფას და უეფას რეიტინგში სულ მაღლა ვიწევთ და რაღა კრიზისი გელანდებათო. თუ რამეს ვაღწევთ, ისევ ნაკრებს უნდა ვუმადლოდეთ, რომელმაც ლეგიონერების თამაშის და ოსტატობის ხარჯზე რამდენიმე მატჩი წარმატებით დაასრულა. ღმერთმა ყველას გაუხანგრძლივოს საფეხბურთო კარიერა, მაგრამ დადგება დრო და ფეხბურთიდან წავლენ ტყუპები, ჯამარაული, ქეცბაია, ქინქლაძე, ყაველაშვილი და ნემსაძე დანარჩენები. ვინ შეცვლის მათ, ისინი, ჯერაც ნიჭიერები რომ არიან, მაგრამ ჩემპიონატში ძუნძულით მოგებას ეჩვევიან, მერე მოეწყობიან ისრაელში, კვიპროსზე, რუსეთის მეორე ლიგაში, უკეთეს შემთხვევაში „ალანიას" მიაშურებენ, სადაც გაზაევი ბატონობს, გუნდის ექიმად ვეტერინარი ძმაკაცი დაუნიშნეს და ჩვენს ფეხბურთელებს ერთიმეორის მიყოლებით ლაზარეთში აგზავნის. ძალიან მუქ ფერებში დავხატეთ ჩვენი მომავალი, მაგრამ ფაქტი ჯიუტია.

არავინ იცის, სტადიონის დაცარიელებულ ტრიბუნებს გულშემატკივარი როგორ დაუბრუნოს. ყველა უფულობაზე ტირის. ყველას ხელი გაუშვერია და დახმარებას ითხოვს. პარტახდება კომუნისტების დროს აშენებული ბაზები და სტადიონები. ვნახოთ რა პირობებში ვარჯიშობენ ბავშვები, საცოდაობაა მათი ცქერა. ამბიციები კი დიდი გვაქვს, იცოცხლეთ, კარგ გუნდს გავაკეთებთ, მაგრამ ამისთვის სახელმწიფო ამდენ მილიონს უნდ გამოვიდეს, თანაც გადასახადებისგან უნდა გაგვათავისუფლონო.

დღევანდელ ეპოქაში ფულს ჰაიჰარად არავინ იძლევა. კი, ბატონო, საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან დახმარება, გადასახადების შემსუბუქება, მაგრამ რომელ კანონში წერია, მარტო სხვის ფულზე ავაწყოთ ჩვენი საქმეებიო.

ფულის შოვნას ცოდნა, უნარი და მარიფათი სჭირდება. აბა, თუ წარმოუდგენია ვინმეს თავისი პროგრამა, ასე და ასე უნდა ავაწყოთ საქმეები, რომ სათხოვარი არა გვჭირდესო.

რამდენი კლუბს პრეზიდენტი გვინახავს, ფეხბურთში ზარ-ზეიმით და ბაქიაობით რომ მოვიდა და უკან ვალებით სავსე გაბრუნდა. ზოგი დღესაც ადრინდელი ვალების გასტუმრებაშია და მოსვენება დაუკარგავს. რატომ დაემართათ ასე? იმიტომ, რომ მათ ჰქონდათ ფული და არ ჰქონდათ ცოდნა. კაპიტალი ქარს გაატანეს და ფეხბურთელებიც გვარიანად გარყვნეს. ჩვენში ნებისმიერი ძუძუმწოვარა მოთამაშე, ეკუთვნის თუ არა, წარმოუდგენელ თანხას ითხოვს.

ფეხბურთის ფედერაციაშიც წუწუნებენ, ანგარიშზე კაპიკი არ გვიზისო. რატომ არ ზის მერე. ალბათ, ესეც ჟურნალისტების ბრალია. ცხონებულმა ახალკაცმა იცოდა, ფული როგორ ეშოვაო, მაგრამ მოკვდა კაცი, აღარ არის და ფედერაციაც მეტად დაბნეულია.

24 ივლისი მაინც მოვიდოდეს მალე. მაშინ ფეხბურთის ფედერაციას ნამდვილი პრეზიდენტი ეყოლება და პასუხსაც ის გასცემს უამრავ, დიდი ხნის დაგროვილ შეკითხვებს.

წერილის მთავარ არსსაც მივადექით. ვინ იქნება ფედერაციის პრეზიდენტი? ამ საკითხზე „სარბიელმა" უკვე გაუწყათ თავისი მოსაზრება. ახლა სულ სხვაზე ვისაუბროთ.

ამ ხნის განმავლობაში ცხადად თუ ფარულად, ნაღდად თუ ჭორად ფედერაციის პრეზიდენტობის არაერთი კანდიდატის ვინაობა შეიტყო გულშემატკივარმა. ყველამ ასე თუ ისე გამოთქვა თავისი აზრი, მაგრამ საკითხავია, იყვნენ თუ არა ბოლომდე გულახდილები. თუ მოარულ ხმებს ვერწმუნებით, ეგენი ერთმანეთის მოსაჩვენებლად ამბობენ პრეზიდენტობაზე უარს, თორემ ყრილობაზე ყველა კენჭს იყრისო. გაიგე ახლა, ვინ ტყუის და ვინ მართალია.

გამოკითხული კანდიდატებიდან ზოგი ჯერაც ფიქრობს, მავანი ამბობს, მე სულაც არ მინდა, მაგრამ მაძალებენო. ნაწილი ხელებს ასავსავებს, რის პრეზიდენტობა, რა ფეხბურთი, მსგავსი [illegible]ლშიც არ გამივლიაო. დანარჩენი არც ერთს ამბობს, არც მეორეს, არის ჩუმად და მოვლენათა განვითარებას ადევნებს თვალს. ყოველივე ეს დიდ, უმნიშვნელო დეტალებამდე გათვლილ თამაშად მიგვაჩნია, რომელიც ვიღაცას ადრევე დაუგეგმავს, თანაც მეტად გონივრულად, ახლა კი 24 ივლისს ელის, რათა საბოლოო სვლა გააკეთოს. მას აირჩევენ, თანაც ტაშისკვრით და ისე, რომ სადავოც არავის არაფერი ექნება.

მაგრამ ვინ არის იგი? კიდევ ერთი კითხვა, კიდევ ერთი საიდუმლო და ვინც მას ამოიცნობს, კითხვასაც ის უპასუხებს.

მანამდე კი დრო უმოწყალოდ გარბის, თანამედროვეობის ფერხულს მეტად ჩამოვრჩით. ეს ჩვენს ჩემპიონატს ძალიან ეტყობა. დავეწევით ვითომ წინ გაჭრილებს? ასეთი მოქმედებით — ძლიერ საეჭვოა.

ახლა სულ მთავარზე ვთქვათ. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატებმა, იმათ, ვისაც განუცხადებია, ჩვენ ვიკისრებთ პასუხისმგებლობას და პრეზიდენტობა გვინდაო, თუ გულშემატკივართა მხარდაჭერა სურთ, თავიანთი სამოქმედო პროგრამები უნდა წარმოადგინონ. არა 24 ივლისს, ყრილობის ჩატარების დღეს, არამედ უახლოეს ხანში. ხალხმა ხომ უნდ იცოდეს, ვის ანდობენ ყველასთვის სათაყვანებელი ფეხბურთის ბედს. ასეთი ნაბიჯი ჯერ არავის გადაუდგამს.

უნდა წარმოადგინონ პროგრამები და არა პროექტები, სახელმწიფომ მილიონები გადმორიცხოსო. პროგრამაში უნდა გაითვალისწინონ კრიზისის დაძლევის გზები, კლუბების მომავალი და ბიზნესგეგმაც. ვინც ამას შეძლებს, პრეზიდენტიც ის იყოს. რომელიმე ქვეყნის ფედერაციიდან გადმოკონსპექტებულ პროგრამას ვერავინ უწოდებს სერიოზულს. პროგრამაში ქართული ფეხბურთის ხასიათი და სული უნდა აისახოს.

ცოტა ვიჩქაროთ, ბატონებო.

მამუკა ძვანტალიანი

# ცამეტი წუთი, რომელმაც შექმნა ძუკუს კარიერა

## გიორგი დარასელია, შესაძლოა, სერია A-ში ვიხილოთ

გიორგი დარასელიაზე კარგა ხანია, აღარაფერი დაგვიწერია. ძუკუ ისრაელში რომ გადავიდა და წინა ჩემპიონატის მეცამეტე გუნდი თელ ავივის „ჰაპოელი" გაალიდერა, ამაში ახალი აღარაფერია. ძველი და იოლადმოსალოდნელია ისიც, რომ „ჰაპოელი" ყოველ მორიგ თამაშს 1:0 მოიგებს. და თუ ის ერთი გოლიც თავად გიორგიმ არ გაიტანა, საინტერესო სხვა რა უნდა იყოს?

ცხადია, დარასელია ისრაელის ჩემპიონატის დონეზე ამაღლდა. ძუკუს ადგილი აღთქმულ მიწაზე აღარაა. ამის ერთი დასტური ისიცაა, რომ გიამ სახელი არამარტო ისრაელში დაიგდო. დარასელიას თანაგუნდელის შალომ თიქვას ძმა აბრაჰამი შვეიცარიულ „გრასჰოპერში" თამაშობს და მას უთქვამს ჩვენებურთათვის, ისრაელში ერთი მაგარი ქართველია, გვარს ზუსტად ვერ ვიხსენებ, დარა... დარასელიაო დაუბოლოვებიათ ყაველაშვილს და ნემსაძეს.

წინა შაბათს „ჰაპოელმა" ტრადიციულად რომ მოიგო, გიორგის ებრაულ პრესაში ყველაზე დაბალი შეფასება დაუწერეს. შეხმიანების მიზეზად ესაც იკმარებდა, რომ არა, კიდევ ერთი, ამ შაბათს ძუკუ კაკოს დაუპირისპირდა და გოლიც გაუტანა.

დარასელიას სუსტი თამაშის მიზეზი ადგილმონაცვლეობა ყოფილა. ერთ-ერთი ესპანური კლუბის თხოვნით „ჰაპოელის" თავკაც ელი კოენს გიორგი კაცზე თამაშშიც გამოუცდია. დარასელიას სამეურვეო ობიექტს გოლი არ გაუტანია, ძუკუს გუნდმა 2:0 მოიგო, ერთი გოლი გიასვე პასით გავიდა. ფაქტია მისი საქმე შეტევათა წამოწყება, პასების განაწილებაა და არა მხოლოდ მეტოქის რომელიმე მოთამაშის დევნა.



გიორგი დარასელია

გუშინწინ თელ ავივის „ჰაპოელმა" ტრადიცია დაარღვია — აშდოდის ირონს 3:2 მოუგო და ამ ჩემპიონატში ასე უხვგოლიანი მატჩი პირველად ჩაატარა. დარასელიამ მეორე გოლისას გაამწარა დევაძე. მესამეც რომ გავიდა მწვრთნელმა დაასვენა. და აირია „ჰაპოელი" ბოლო 15 წუთში. კაკოს გუნდელებმაც ხელი გამოიღეს და ხუთ წუთში ორი გოლი გაქვითეს. საბოლოოდ მაინც მასპინძლებმა მოიგეს. „ჰაპოელმა" ამ ჩემპიონატში პირველად გაუშვა ამდენი — ორი — გოლი.

გიორგი დარასელიათი დაინტერესება მხოლოდ ერთ-ერთი ესპანური კლუბი როდი გამოხატავს. მისი შეძენის სურვილი ჰოლანდიელებს და თვით იტალიელებს გამოუთქვამთ, გიორგის აზრით, „სკუადრა აძურასთან" ნათამაშევი 13 წუთი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ აპენინელების ყურადღება მიეპყრო და მერე თვალიც ედევნებინათ.

ძუკუ იმედოვნებს, რომ ისრაელის ჩემპიონიც გახდება და ახალ სეზონს უკვე რომელიმე ევროპული ქვეყნის უკეთეს გუნდში დაიწყებს.

ვახტანგ გზირაძე

### მეორე ჯგუფი

ლიდერებმა საბოლოო წარმატებისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს. არმიელებს დაშლილი ქარელის „იბერიის" დამარცხება არ გასჭირვებიათ. ის კი არა, ქართლელებს კორღალიძის გუნდის კარში გატანილი ორი გოლიც დიდ გმირობად უნდა ჩავუთვალოთ.

სამტრედიელებმა, ალბათ, დაიფიცეს, ყველა თამაში 3:0 მოიგონ. ასეთი ანგარიშით უკვე მესამე ტურია, იმარჯვებენ. თავი ისევ ქუთაისელმა ვასო გიგიაძემ გამოიჩინა — სამივე გოლი მის ანგარიშზეა.

ხაშურის „ივერია" ბევრს კი ეცადა, მაგრამ ჩხოროწყუდან ქულის მეტი ვერ წამოიღო. სამტრედიელებს კი უახლეს კონკურენტთან სამქულიანი ფორა მიეცათ.

იყო ერთი მოულოდნელობაც. ცხინვალის ძლიერმა გუნდმა ახალგაზრდა კოდაკოელებს ვერაფერი მოუხერხა და ნულოვან ფრეს დასჯერდა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე სეზონში ეს ცხინვალელთა პირველი ყაიმი გახლავთ.

XVIII ტური

სამეგრელო — ივერია 0:0
იბერია (ს) — მეშახტე 3:0
კოდაკო — ცხინვალი 0:0
იბერია (ქ) — ასკ 2:4
ფაზისი — სქური 4:0
თორი — აკადემია 0:4
საპოვნელა — კოლხეთი 3:5
*იმერეთი — მერცხალი (ანგარიში ვერ შევიტყვეთ)*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 18 | 16 | 2 | 0 | 63:12 | 50 |
| იბერია (ს) | 18 | 13 | 3 | 2 | 43:15 | 42 |
| ივერია | 18 | 12 | 3 | 3 | 47:18 | 39 |
| კოლხეთი | 18 | 12 | 2 | 4 | 41:28 | 38 |
| ცხინვალი | 18 | 11 | 1 | 6 | 48:24 | 34 |
| მერცხალი | 17 | 9 | 1 | 7 | 32:29 | 28 |
| სქური | 18 | 9 | 1 | 8 | 30:40 | 28 |
| თორი | 18 | 8 | 3 | 7 | 36:31 | 27 |
| აკადემია | 18 | 10 | 4 | 4 | 49:20 | 29 |
| ფაზისი | 18 | 8 | 1 | 9 | 31:34 | 25 |
| მეშახტე | 18 | 6 | 2 | 10 | 30:30 | 20 |
| სამეგრელო | 18 | 4 | 3 | 11 | 21:45 | 15 |
| კოდაკო | 18 | 3 | 2 | 13 | 15:42 | 11 |
| იმერეთი | 17 | 2 | 1 | 14 | 21:69 | 7 |
| საპოვნელა | 18 | 2 | 0 | 16 | 20:64 | 6 |
| იბერია (ქ) | 18 | 3 | 1 | 14 | 21:49 | 5 |

# რწმენის გადაგდება იქნება?

## ქუთაისის შრომითი აღზრდის უნივერსიტეტი აშვეთიას ტრანსფერიდან კუთვნილ წილს ითხოვს

ქუთაისის შრომითი აღზრდის უნივერსიტეტის გუნდი აშვეთიაზე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებს — მასთან ხუთწლიანი კონტრაქტი გამიფორმებია და ორ წელიწადს კიდევ მე მეკუთვნისო. ფედერაციამ „რწმენას“ სარჩელი კარგახანია განიხილა. განიხილა და არ დააკმაყოფილა. ამ პატარა კლუბის გასაჭირზე არც გული შეტოკებია და არც თითი გაუტოკებია ზედმეტად.

ამ თემაზე ამასწინათაც დავწერეთ, მაგრამ მოდით, ერთხელაც გავიხსენოთ, როგორ მოხვდა აშვეთია „ტორპედოში“.

ვიდრე „რწმენასთან“ ქვემდებარე კონტრაქტს გააფორმებდა, აშვეთია უკვე „ტორპედოს“, უფრო სწორად „ტორპედო 2“-ის მოთამაშე იყო. 1993-94 წლის ორეტაპა ჩემპიონატის მესამე ჯგუფში ქუთაისური ფარმ-კლუბი დასავლეთ საქართველოს ერთადერთი წარმომადგენელი გახლდათ. გუნდი ორივე ეტაპზე მეოთხე ადგილზე გავიდა, რაშიც 16 წლის აშვეთიასაც მიუძღოდა წვლილი, იმ სეზონში „ტორპედო“ ძველმა დამფინანსებელმა, თენგიზ თავზარაშვილმა მიატოვა და მას ქუთაისის მერიამ უპატრონა, მაგრამ მომდევნო წელს ფარმ-კლუბი მიუხედავი დაურჩა. ახალგაზრდებს შემწედ ქუთაისის შრომითი აღზრდის უნივერსიტეტი გამოუჩნდათ, გუნდსაც სახელი გადაერქვა. ასაკ და რწმენაშემატებული აშვეთია დიდებულად ათამაშდა და ის სეზონი უკვე პირველჯგუფელ „სამგურალში“ დაამთავრა. აშვეთიამ დიდი ნახტომი გააკეთა — მესამედან პირველი ჯგუფის გუნდში. „სამგურალთან“ ერთად მიშამ ბევრი იბრძოლა, ხუთი გოლიც გაიტანა, ჩემპიონატის საუკეთესო ახალბედაც შეიქმნა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, წყალტუბოელები გავარდნენ. მოხდა ის, რაც ადრეც მოხდებოდა, „ტორპედოს“ მაშინდელი თავკაცი „რწმენას“ ერთ მატჩს მაინც რომ დასწრებოდა. მაშინ ქუთაისელებს სოსო ფრუიძე ველარ დაასწრებდათ და მომდევნო სეზონში საქმე „რწმენასა“ და „სამგურალის“ სახვეწნად არ გაუხდებოდათ.

ასე იყო თუ ისე, მერიის თხოვნით „რწმენამ“ აშვეთია და ჩხეტიანი „ტორპედოს“ ათხოვა. უფროს ძმებს კი დაავიწყდათ, რომ ნანათხოვარს დაბრუნება, ვალს კი გასტუმრება უნდა.

ფედერაციის პასუხი ეგაა, კლუბს ახალგაზრდა ფეხბურთელთან სამწლიანზე გრძელვადიანი კონტრაქტის დადების უფლება არა აქვსო. არადა, მაშინ, როცა „რწმენამ“ აშვეთია ჩაიგდო ხელთ, მსგავსი აკრძალვა არ არსებულა. მეორეცაა, რომც ყოფილიყო დღევანდელი ლიმიტი, თუკი ფედერაციამ კლუბის და ფეხბურთელის კონტრაქტი დაამტკიცა, ახლა პასუხიც თავად უნდა აგოს.

მოკლედ, ამ საქმეში კონტრაქტის ასლმა, მოდავე კლუბების, ფედერაციის წარმომადგენლებმა და ფეხბურთელმა უნდა გაგვარკვიონ. დღეისთვის ერთი მხარის, „რწმენას“ არგუმენტები ვიკმაროთ. დანარჩენების აზრი სამომავლოდ იყოს.

**ვახტანგ ბზიკაძე**



მიხეილ აშვეთიას თამაში და გოლების გატანა სწყურია

## ღია წერილი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს ბატონ ალექსანდრე ჩივაძეს

როგორც თქვენთვის ცნობილია, ქუთაისის შრომითი აღზრდის უნივერსიტეტთან არსებული ფეხბურთის კლუბი „რწმენა“ 1994/96 წლებში მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის ჯერ მესამე, შემდეგ მეორე ჯგუფში.

ფეხბურთელებთან უნივერსიტეტის რექტორატს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, სადაც განსაზღვრულია, ფეხბურთელისა და უნივერსიტეტის მოვალეობანი 5 წლის მანძილზე.

ფეხბურთელს ევალება, გამოვიდეს „რწმენას“ სახელით სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებზე, ხოლო უნივერსიტეტი მოვალეა ფეხბურთელები მიიღოს სასწავლებლად, აიყვანოს ინდივიდუალურ გრაფიკზე, უფასოდ მისცეს სრული განათლება, მოემსახუროს ტრანსპორტით, უზრუნველყოს საკვებით და შეჯიბრების პერიოდში მოგებისთვის მისცეს ჯილდო.

ფეხბურთელებთან ხელშეკრულება გაფორმებული გვაქვს 1999 წლის 1 სექტემბრამდე. ამ ხნის განმავლობაში მათ ჩვენი თანხმობის გარეშე ეკრძალებათ სხვა კლუბებში გადასვლა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კლუბი მიიწვევს, მან უნივერსიტეტის სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხები.

მოხდა ისე, რომ 1996 წელს უნივერსიტეტს შეექმნა მძიმე ფინანსური სიძნელეები და ეროვნულ ჩემპიონატში ვერ მივიღეთ მონაწილეობა, სამაგიეროდ გამოვდივართ საქალაქო ჩემპიონატებში.

ამ პერიოდში ჩვენი კლუბის ფეხბურთელების, იგივე ჩვენი სტუდენტების გადაბირება დაიწყეს ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბებმა.

აღნიშნულის შესახებ რამდენჯერმე ვაცნობე ფედერაციას წერილობით, აგრეთვე ტელეფონითაც. ეს თხოვნა არაფრად ჩააგდეთ და ჩვენი კლუბის წევრი მიხეილ აშვეთია გაუშვით „ალანიაში“ სათამაშოდ, როგორც ტორპედოელი. თქვენ კარგად იცით, რომ იგი ჩვენ „ტორპედოს“ ვათხოვეთ ოფიციალურად ერთი წლით. როგორც პრესა წერდა, აშვეთიაში „სიგმა ბანკმა“ სამასი ათასი დოლარი მიიღო.

საბუთი თხოვების შესახებ, რომლის ძალითაც აშვეთია „ტორპედოს“ შემადგენლობაში გამოვიდა, ფედერაციაში დევს.

შეგახსენებთ ტექსტს: „ქუთაისის შრომითი აღზრდის უნივერსიტეტის რექტორატი თანახმაა, ამავე უნივერსიტეტთან არსებული საფეხბურთო კლუბი „რწმენას“ ფეხბურთელებმა კ. ჩხეტიანმა და მ. აშვეთიამ 1995/96 საფეხბურთო სეზონში ითამაშოს „ტორპედოს“ შემადგენლობაში.

შენიშვნა: „ტორპედოს“ ხელმძღვანელობას ეკრძალება ფეხბურთელების კ. ჩხეტიანის და მ. აშვეთიას სხვა კლუბში გადასვლაზე თანხმობის გაცემა. თანხმობას გასცემს მხოლოდ ს.კ. „რწმენას“ ხელმძღვანელობა“. ეს იყო 1995 წლის 1 აგვისტოს.

ამ თახმობის წერილის მიღების დღიდანვე „ტორპედო“ ცდილობს მ. აშვეთიას გაყიდვას ევროპაში, რაც დადასტურებულია პრესითაც.

ჩვენ ვგრძნობდით რა ფედერაციის პოზიციას, 1996 წლის 11 დეკემბრის დეპეშით საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ვაცნობეთ.

„განმეორებით გაცნობებთ, რომ ფეხბურთელი აშვეთია არის ქუთაისის შრომითი აღზრდის უნივერსიტეტის საფეხბურთო კლუბ „რწმენას“ წევრი და მასთან 1999 წლამდე გაფორმებულია ხელშეკრულება. აშვეთიას სხვა კლუბში გადასვლაზე თანხმობას გასცემს მხოლოდ უნივერსიტეტი“.

ფედერაციამ არად ჩააგდო ჩვენი დეპეშა, ასევე სატელეფონო საუბარი, რომ ჩვენი თანხმობის გარეშე აშვეთიაზე არ გაგეცათ ტრანსფერი, მაგრამ ფედერაცია აუღებელი ციხე-სიმაგრე გამოდგა, რომელიც ოფიციალურ პასუხს არავის არ აძლევს. ჩვენ რომ ოფიციალური პასუხი მიგვეღო, მაშინ პრესით არ მოგმართავდით.

ასევე, უნივერსიტეტის თანხმობის გარეშე გაიცა უფლება ჩვენს ფეხბურთელებზე, რათა ისინი გადასულიყვნენ „მარგვეთში“ (ფოფხაძე, მელუა, ბიწაძე, გაბუნია), „სამგურალში“ (ხაჭაპურიძე, ფრანგიშვილი, დარსაძე, გელაშვილი), „ტორპედოში“ (ჩხეტიანი, ს. გიგიაძე, ვ. გიგიაძე, გედენიძე, მუმლაძე) „ოქროს საწმისში“ (ვეკუა, ქუთათელაძე, ფილიპაშვილი) და სხვა კლუბებში.

ფედერაცია კვლავ მტკიცედ ადგას ჩვენი არცნობის კურსს, მაშინ, როცა უკვე მეოთხე წელია 18 ფეხბურთელს (ყველა უმაღლეს ლიგაში თამაშობს) ვასწავლით უფასოდ, სხვები კი ჩვენს ფეხბურთელებზე „ხელს“ ითბობენ (ამას შექმნილი სიტუაცია გვათქმევინებს).

ბატონო ალექსანდრე! გვაინტერესებს, რა საჭიროა ფეხბურთელებთან ხელშეკრულების გაფორმება, თუ ის მხოლოდ ფარატინა ქაღალდის როლს შეასრულებს და არა ოფიციალური დოკუმენტისას, რომლის შესრულებაზეც პასუხს ორივე მხარე აგებს.

ჩვენ დღემდე არსად დაგვიწერია და არც პრესას გამოუქვეყნებია ის, რომ ს.კ. „რწმენა“ ჩვენი უნივერსიტეტის კუთვნილებაა. ასე რომ, ამ კლუბით ჩვენ რეკლამა არ გაგვიკეთებია, ჩვენ მხოლოდ უხმაუროდ ვზრდიდით და ვზრდით ფეხბურთელებს.

ამ ფეხბურთელთა აღსაზრდელად უნივერსიტეტმა დიდი ენერგია დახარჯა, საჭირო თანხები გაიღო თქვენს მიერ „ტრანსფერირებული“ ფეხბურთელების პროცენტები მას უნდა მიეღო და არა იმას, ვისაც ამ საქმეში არაფერი ჩაუდვია. (მხედველობაში გვაქვს არა დოლარები, არამედ აღზრდა, სწავლება).

უფრო მეტიც, თქვენმა იურიდიულმა კომისიამ ჩვენ მოგვთხოვა ხარჯების წარდგენა და როცა ეს გავაკეთეთ, შემოგვედავა 5-წლიანი ხელშეკრულების გაფორმების უფლებაში (იურისტებმა უნდა იცოდნენ, უნივერსიტეტში სწავლება 5 წლიანია). ეს მაშინ, როცა ფეხბურთის ფედერაციამ უარი გვითხრა ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილეობაზე, თუ ხელშეკრულებებს არ წარმოვადგენდით.

გამოდის, რომ ფედერაციაში ხელშეკრულებებს ითხოვენ, მაგრამ არ კითხულობენ, და თუ კითხულობენ, მაშინვე უნდა ეთქვათ უარი 5-წლიან ხელშეკრულებაზე. თუმცა ჯერ ხუთი წელი არ გასულა. (გავიდა 3 წელი) და კიდევ. ფედერაცია თვლის, რომ ამჟამად ფეხბურთის კლუბი „რწმენა“ არ არსებობს (ალბათ ასე აწყობს). დავუშვათ, ეს ასეა, მაგრამ ეს ცოტას ნიშნავს მაშინ, როცა არსებობს უნივერსიტეტი, არიან სტუდენტი ფეხბურთელები და სპორტული კლუბი „რწმენა“ სწორედ უნივერსიტეტთან შეიქმნა და მისივე ხარჯებით გამოდიოდა ეროვნულ ჩემპიონატში.

ბატონო ალექსანდრე, თქვენ არასოდეს დაინტერესებულხართ ჩვენი უნივერსიტეტის წვლილით ამ ეროვნულ საქმეში, იმით, რომ ქუთაისის ერთმა უმაღლესმა სასწავლებელმა წლების მანძილზე ფეხბურთელებს ასწავლა უფასოდ. დააყენა ისინი გზაზე და საქართველოს ახალგაზრდულ ეროვნულ ნაკრებს შესძინა ისეთი ფეხბურთელები, როგორიც არიან: აშვეთია, ჩხეტიანი და სხვები. მისი აღზრდილები დღესაც წარმატებით გამოდიან ეროვნულ ჩემპიონატში.

დღეს, მიუხედავად მძიმე ეკონომიკური კრიზისისა, უნივერსიტეტის რექტორატი ცდილობს, არ გარიცხოს ეს ფეხბურთელები უნივერსიტეტიდან სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, მაგრამ რას ფიქრობს ფედერაცია, როცა ჩვენს ფეხბურთელს სამასი ათას დოლარად „აყიდინებს“ სხვას ე.წ. „სიგმა ბანკს“ და ამ უკანასკნელს მიუხედავად ჩვენი არაერთგზის მოთხოვნისა, არ ავალებს, სწავლის ქირა მაინც გადაუხადოს ფეხბურთელებს.

1997 წლის 26 დეკემბერს ჩვენ ფედერაციას კვლავ შევახსენეთ დეპეშით: „ფეხბურთელი აშვეთია არის ქუთაისის შრომითი აღზრდის უნივერსიტეტის სპორტულ კლუბ „რწმენას“ წევრი და მასთან 1999 წლამდე გვაქვს გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მას ეკრძალება ჩვენს გარეშე სხვა კლუბში გადასვლა.

გთხოვთ, არ გაიმეოროთ „ალანიას“ შეცდომა და ჩვენთან შეთანხმების გარეშე აშვეთიაზე ტრანსფერი არ გასცეთ“.

მიუხედავად ჩვენი მრავალგზის თხოვნისა, ფედერაციისაგან არავითარი პასუხი არ მიგვიღია. პირიქით, აშვეთია თბილისის „დინამოს“ „ათხოვეთ“ ჩვენი თანხმობის გარეშე.

ფედერაციის პოზიცია ჩვენ ასე გვესახება, თქვენ არ გსურთ, რომ უნივერსიტეტის კლუბი „რწმენა“ კვლავ გამოდიოდეს ეროვნულ ჩემპიონატებში, კვლავ რომ აღზარდოს ნიჭიერი ფეხბურთელები. ამისათვის ჩვენ მოვითხოვთ ფეხბურთელ აშვეთიასთან ჩვენს მიერ გაფორმებული ხელშეკრულების თანხები ან ფედერაციამ გადაიხადოს, ან იმ კლუბმა, სადაც თქვენ მას უშვებთ.

ამის შემდეგ, ქუთაისის შრომითი აღზრდის უნივერსიტეტი იქნება გარანტი იმისა, რომ კვლავ ჩავერთოთ ეროვნულ ჩემპიონატში, აღვზარდოთ ნიჭიერი ფეხბურთელები, მათ შორის ქალებიც.

*რექტორი: ო. ცხადაძე*

6.III.1998

ქუთაისის შრომითი აღზრდის უნივერსიტეტის საფეხბურთო კლუბი „რწმენა“ ფეხბურთელის

## კონტრაქტი

1 სექტემბერი 1994 წ. ქ. ქუთაისი

ფეხბურთის კლუბი „რწმენა“ შემდეგ „კლუბად“ წოდებული „რწმენას“ სახით, ერთის მხრივ და მეორე მხრივ ფეხბურთელ აშვეთია მიხო ალეკოს-ძე შემდგომ „ფეხბურთელად“ წოდებული, მეორეს მხრივ ვადასტურებთ რა ამ კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებებს, სასწავლებლად შრომითი აღზრდის უნივერსიტეტში იწვევს ფეხბურთელს 1994 წლის 1.09-დან 1999 წლის 1.09-მდე ვადით და თანახმაა ამ კონტრაქტის პირობების შესაბამისად უფასოდ ასწავლოს უნივერსიტეტში. ფეხბურთელს მ. აშვეთიას ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების თუ მისგან გამომდინარე ოფიციალურ საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის შემთხვევაში მისცეს მას: ა) გასვლითი მატჩის მოგებისას ჯილდო 5 მილ კუპონი. ბ) შინ ჩატარებული მატჩის მოგებისას ჯილდო 5 მილ კუპონი.

ფეხბურთელი თანახმაა, შესთავაზოს კლუბს თავისი სამსახური, ითამაშოს ფეხბურთი აქ და შემდგომ ყველგან (იგულისხმება ფეხბურთის ყველა ნაირსახეობა) ყველა შეხვედრაში, შინ თუ სტუმრად ყოველი ღონე იხმაროს ამ კონტრაქტით გათვალისწინებული თავისი მოვალეობის შესასრულებლად, კლუბის ხელმძღვანელობითა და კონტროლით.

ფეხბურთელი ამასთანავე მოვალეა:

ა) გამოცხადდეს წვრთვნაზე პირველ გამოძახებისთანავე, კლუბის მიერ დანიშნულ დროსა და ადგილზე ჯანმრთელი, კარგ ფიზიკურ ფორმაში და შეინარჩუნოს სიმხნევე, კარგი ფიზიკური ფორმა დროის ნებისმიერ მონაკვეთში, მთელი სეზონის განმავლობაში, რისთვისაც იგი კლუბის მითითებით უნდა გამოცხადდეს ყველა საწვრთნელ ვარჯიშზე, მონაწილეობა მიიღოს სპარინგ-მატჩსა და საჩვენებელ თამაშში, რომლის ჩატარებასაც კლუბი განიზრახავს.

ბ) სანიმუშოდ მოემსახუროს კლუბს და ითამაშოს ფეხბურთი მარტოოდენ ამ კლუბში, ვიდრე არ ამოიწურება ამ კონტრაქტის მოქმედების ვადა ან ძალაში არ შევა ამ კონტრაქტის მე-7 მუხლი.

გ) ითანამშრომლოს კლუბთან და მიიღოს ამ უკანასკნელის სარეკლამო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობა, კლუბის ყველა წევრის საკეთილდღეოდ

დ) მოედანზე და მის გარეთ მოიქცეს კეთილსინდისიერად სპორტული ეთიკის დაცვით.

კლუბი „რწმენა“ თანახმაა, რომ ფეხბურთელს აქვს კლუბის დატოვების უფლება. კონტრაქტის გამოსყიდვის გზით, შემდეგი პირობებით.

პირობა პირველი: ფეხბურთელი ტოვებს კლუბს იმ პირობით, რომ ამ კონტრაქტით ფიქსირებულ ვადაში არ ითამაშოს ფეხბურთი არც ერთ სხვა ფეხბურთის კლუბში, საქართველოში თუ მის საზღვრებს გარეთ და იგი პირადად ან ნებისმიერი იურიდიული პირის საშუალებით კლუბს გადაუხდის ამ კონტრაქტის გამოსასყიდ თანხას 15 ათას აშშ დოლარს კუპონის ან შესაბამისი კურსის დოლარს. პირობა მეორე: ფეხბურთელი ტოვებს კლუბს იმ პირობით, რომ ამ კონტარქტში ფიქსირებულ ვადაში ფეხბურთს ითამაშებს მხოლოდ საქართველოს რომელიმე ფეხბურთის კლუბში და იგი პირადად ან ნებისმიერი იურიდიული პირის საშუალებით კლუბს გადაუხდის ამ კონტრაქტის გამოსასყიდი თანხას 5 ათ. აშშ დოლარს კუპონის ან შესაბამისი უცხოური ვალუტით. პირობა მესამე: ფეხბურთელი ტოვებს კლუბს იმ პირობით, რომ ამ კონტრაქტში ფიქსირებულ ვადაში ფეხბურთს ითამაშებს მხოლოდ საზღვარგარეთის რომელიმე ფეხბურთის კლუბში და იგი პირადად ან ნებისმიერი იურიდიული პირის საშუალებით კლუბს გადაუხდის ამ კონტრაქტის გამოსასყიდ თანხას 15 ათას აშშ დოლარს ამერიკული ან სხვა უცხოური ვალუტით. თუ ფეხბურთელმა დატოვა კლუბი ამ პუნქტის რომელიმე ერთი გამოსასყიდი პირობის მიხედვით, მაშინ იგი ვალდებულია, ამ კონტრაქტში ფიქსირებულ ვადაში დაიცვას ეს გამოსასყიდი პირობა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პირადად ან ნებისმიერი იურიდიული პირის საშუალებით კლუბს დამატებით მთლიანად გადაუხდის ამ პუნქტის სხვა (პირობის) პირობების შესაბამის თანხას (პირობის) პირობების დარღვევიდან ორი თვის ვადაში.

ფეხბურთელი თანახმაა, რომ კლუბს აქვს ამ კონტრაქტის ცალმხრივი წესი, ბათილად ცნობის უფლება, რისთვისაც მან ფეხბურთელს ამ კონტრაქტის ბათილად ცნობის წინ უნდა მისცეს გარანტია უნივერსიტეტში უფასოდ სწავლისა. თანახმაა იმაზეც, რომ უფლება აქვს კლუბს მის მიმართ დააწესოს სათანადო საბრალდებო პროცედურა.

კლუბი „რწმენა“ და ფეხბურთელი თანხმდებიან, რომ მათ შორის წინააღმდეგობის საკითხს გადაწყვეტს სფფ.

უნივერსიტეტის რექტორი ო. ცხადაძე — ფეხბურთელი მ. აშვეთია
ს.კ. „რწმენას“ პრეზიდენტი ა. ახობაძე — უფროსი მწვრთნელი ე. შავგულიძე

# გულშემატკივრებზე მზრუნველნი

1993 წელს იაპონიაში, იქ, სადაც სპორტის ყველაზე პოპულარულ სახეობად სუმო და ძიუდო ითვლება, ფეხბურთის ლიგის ჩამოყალიბება განიზრახეს. ეს მალე რეალობად აქციეს და იმავე წლის ზაფხულში ამომავალი მზის ქვეყანაში პირველი ჩემპიონატიც გაიმართა — ჯეი ლიგის (ასე ჰქვია იაპონიის საფეხბურთო ლიგას) მატჩებს მაყურებელთა დიდი რაოდენობა ესწრებოდა, თუმცა გამოხდა ხანი, ხალხი საფუძვლიანად გაერკვა ფეხბურთში, გარკვეულად ინტერესებიც დაიკმაყოფილა და მერე ბევრმა სტადიონზე თამაშის ნახვას ტელევიზიით ცქერა ამჯობინა. ამან კი, ცხადია, თამაშების დასწრებაზეც იმოქმედა — შარშანდელ და შარშანწინდელ სეზონებში გულშემატკივართა რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, რამაც ჯეი-ლიგის თავკაცები შეაშფოთა. იაპონელები დაწყებულ საქმეს პატარა მარცხისთანავე არ შეწყვეტენ, ჰოდა, მეტი მონდომებით შეუდგნენ შეცდომების გამოსწორებას. ბევრი იწვალეს თუ ცოტა, შედეგიც მიიღეს — ამ სეზონში გულშემატკივრებმა სტადიონზე მობრუნება იწყეს და ორი-სამი სეზონის წინ თუ დასწრება მხოლოდ 10 ათასი იყო, დღესდღეობით ეს ციფრი ორ ათეულ ათას უახლოვდება.

— მსოფლიოს ჩემპიონატზე ფინალურ ეტაპზე გასვლამ აქ ფეხბურთისადმი ინტერესი ერთი ორად გაზარდა. თუ მოხდა და იაპონიამ ქვეჯგუფიდანაც გააღწია, მაყურებელთა მატება მაშინ ნახეთ. დამიჯერეთ, ჩვენთან ფეხბურთის პოპულარობა კიდევ გაიზრდება, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. — თქვა ჯეი-ლიგის წარმომადგენელმა ტაკეჰიკო სანომ. იგი მართალია. იაპონიაში ფეხბურთის პოპულარობა, განსაკუთრებით 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლად იაპონიასა და კორეის არჩევის შემდეგ, მატულობს. სონომ ისიც განაცხადა, ახლა ჯეი-ლიგის გარდა კიდევ ერთი ლიგის შექმნას ვაპირებთ, რომელიც იერარქიით მეორე იქნება, ჯეი-ლიგიდან გავარდნის საფრთხე კი გუნდებს კარგი, ძლიერი თამაშისკენ უბიძგებსო.

...ჯეი-ლიგა, როგორც წესი, ორ წრედ იმართება — მარტის ბოლოდან აგვისტოს დასაწყისამდე და აგვისტოს ბოლოდან ნოემბრის დასასრულამდე. შემდეგ ამ ორ ეტაპზე გამარჯვებულები ერთმანეთს ხვდებიან და ჩემპიონის ვინაობასაც არკვევენ. წელს გამონაკლისი მოხდება — რადგან იაპონია მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობს პირველი ეტაპის გათამაშება 9 მაისიდან 25 ივლისამდე შეწყდება.

დარჩა
FRANCE 98
81 დღე

## ფუტიქსის დროშით
# ძალა ერთობაში ყოფილა



— გუნდს დიდი პოტენცია აქვს. დღეს იამაიკის ნაკრები გამორჩეული გუნდია. ნახეთ, რა ბიჭები თამაშობენ ჩვენთან. ერთად ვიქნებით, მტერი ვერაფერს დაგვაკლებს, ძალა ხომ ერთობაშია. იმედია, დღევანდელი ნაკრები შეინარჩუნებს სულისკვეთებას, იმას, რაც ასე სჭირდება საფრანგეთში — თქვა იამაიკელთა ერთ-ერთმა ლიდერმა თეოდორ უაიტმორმა, კაცმა, რომელიც „ქუინზ პარკ რეინჯერსთან" ამხანაგურ მატჩში უდავოდ გამორჩეული ფიგურა იყო.

...იამაიკელთა ბრიტანლმა ტურნემ კუნძულზე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ოკეანისგაღმელთა პირველი მეტოქე „ქუინზ პარკ რეინჯერსი" იყო, გუნდი, რომელიც ინგლისის პირველ დივიზიონში იმყოფება. ლონდონელები მაინცდამაინც დიდი სიძლიერით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ მათთან იამაიკელების თამაშის სანახავად ადგილობრივი სტადიონი ლამის დაინგრა მაყურებელთა მოზღვავებისგან. ხალხს სტუმართა ნახვა სურდა, რომლებიც ზაფხულში საფრანგეთში პირველად ითამაშებენ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. მასპინძელთა წარმომადგენელმა ტრევორ ლიმ ისიც დასძინა, ჩვენი გუნდის თამაშებს ამდენი მაყურებელი რომ ესწრებოდეს, მერწმუნეთ, აქამდე ფინანსურად წელგამართულნი ვიქნებოდითო.

...34-ე წუთზე უაიტმორმა გახსნა ანგარიში — იამაიკელები დაწინაურდნენ. ბევრს ეცადნენ ფეხბურთში ჭიპმოჭრილი ქუინზპარკელები გაყაიმებას, მაგრამ გოლი არა და არ გადიოდა. შესვენებაზე მასპინძლები თავჩაქინდრულნი წავიდნენ. შემდეგ კი ანგარიში შეიცვალა — მასპინძლებმა, რომლებიც სწორედ იამაიკელებთან ამხანაგურ შეხვედრაში აცილებდნენ დიდი ფეხბურთიდან 33 წლის ნახევამცველ სიმონ ბარკერს, სტივ სლეიდის წყალობით გააყაიმეს. რამდენიმე წამში თამაშის დაწყებიდან ერთი საათიც შესრულდა.

როგორც ჩანს, მასპინძლებს ამ მატჩის მოგება არ ეწერათ — ნაკრების თავდამსხმელმა რობი ერლიმ, რომელიც იმავდროულად პრემიერლიგაშიც ბურთაობს, იამაიკელთ მსოფლიოს ჩემპიონატამდე დაგეგმილ ამხანაგურ მატჩებში პირველი მოგება აგემა. იგი თამაშში რამდენიმე წუთს გახლდათ ჩართული.

საბოლოოდ სტუმრებმა 2:1 მოიგეს. იამაიკელებმა „ქუინზ პარკ რეინჯერსთან" ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: ბარეტი, დიქსონი, გარდნერი, გუდსონი, მალკოლმი, მესემი, კერლი (ერლი 65), ლოუი, უილიამსი, უაითმორი, დევისი.

ოთხშაბათს იამაიკა უკვე ნაკრებს, კვირას კი უელსს ეთამაშება.

## ბელგია

— ის ათლეტურია და თან საკმაოდ ნიჭიერი. ვფიქრობ, ჩვენს იმედებს გაამართლებს. მისი მჯერა, რამდენიმე მატჩში ვნახე და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ასე რომ არ ყოფილიყო, ნაკრებში არ მივწვევდი — განუცხადა VTR-ის ტელევიზიას ბელგიელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჟორჟ ლიკენსმა „გენკის" ნახევარმცველი ფილიპ კლემენტზე. მწვრთნელმა რჩეულთა შორის ქვეყნის პირველობის ერთპიროვნული ლიდერის „ბრიუგეს" რვა მოთამაშეც მიიწვია. როგორც იქნა, ასრულდა „ბრიუგეს" კარის დარაჯის დენი ვერლინდენის ოცნება — შესაძლოა, ბოლოს და ბოლოს მის ნაკრებში თამაშს საშველი დაადგეს, რადგან გუნდის ძირითადი მეკარე, ლისაბონის „სპორტინგის" კარის დარაჯი ფილიპ დე ვილდე ფორმიდანაა ამოვარდნილი. ვერლინდენს ადრეც იწვევდნენ ნაკრებში, მაგრამ მუდამ დე ვილდეს ჩრდილში ექცეოდა, ახლა კი... სათადარიგო მეკარედ ლიკენსმა „აალსტის" ფილიპ ვანდე ვალე მიიწვია. ესეც მოულოდნელობა გახლდათ.

ბელგიელთა მეტოქე, ამჯერად ევრო 2000-ის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მოწინააღმდეგეთაგანი, ნორვეგია იქნება. ლიკენსს სკანდინაველებზე საკმაოდ კარგი შეხედულება აქვს — ფიზიკურად ძლიერი გუნდია, ტაქტიკურადაც საკმაოდ კარგად მომზადებულნი არიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ბრაზილიას ვერ დაამარცხებდნენ და ფრანგებს 3:3 ვერ ეთამაშებოდნენო.

— ჩვენ ჩვენსას ვეცდებით. არ დავმალავ და გეტყვით, რომ სამი თავდამსხმელით თამაშს ვაპირებთ. მეტოქის შებოჭვას დასაწყისშივე ვეცდებით — ესეც ლიკენსის სიტყვებია. სხვათა შორის, პირველ წლევანდელ ამხანაგურ მატჩში ამერიკელებთან, ბელგიელებმა თავიდანვე სწრაფ ტემპში წარმართეს თამაში და მეტოქის დამარცხებაც შეძლეს 2:0. ახლა რა იქნება, ძნელი სათქმელია.

რაც შეეხება მწვრთნელის რჩეულთ, ესენი არიან: მეკარეები — დენი ვერლინდენი (ბრიუგე), ფილიპ ვანდე ვალე (აალსტი); მცველები — ვიტალ ბორკელმანსი, ერიკ დეფლენდრე, ტორვენ დე ბრული (ბრიუგე), ერიკ ვან მეიერი (ლიერსი), გლენ დე ბეკი (ანდერლეხტი), ფილიპ ლეონარდი (მონაკო), გორან ვიდოვიჩი (მუსკრონი); ნახევარმცველები — დენი ბოფინი (მეცი), გერტ კლასენსი, ლორენცო სტალენსი, გერტ ვერჰეიენი, ფრენკი ვან დერ ელსტი (ბრიუგე), ფილიპ კლემენტი (გენკი), ნიკო ვან კერკჰოვენი (ლიერსი), მარკ ვილმოტსი (შალკე); თავდამსხმელები — ლოკონდა მპენზა, მბო მპენზა (სტანდარდი), ლუის ოლივეირა (ფიორენტინა).

## საფრანგეთი

— მსოფლიოს ჩემპიონატამდე ორ თვეზე ოდნავ მეტი რჩება. შესაბამისად ტურნირისთვის ნაკრების ფეხბურთელთა შერჩევასაც აღარ გავაჯანჯლებ — თქვა ფრანგთა მწვრთნელმა ემე ჟაკემ, რომელიც დღესდღეობით მთლიანად რუსებთან მატჩზეა გადართული. ჟაკეს თქმით, რუსეთი საკმაოდ კარგი ოპონენტი იქნება და მიუხედავად იმისა, რომ ისინი მსოფლიოს ჩემპიონატში არ მონაწილეობენ, მათთან თამაში მრავალმხრივ საინტერესო იქნება.

რამდენიმე დღის წინ ჟაკემ მოსკოვში გასამგზავრებელი გუნდის შემადგენლობა დაასახელა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მაინც არ გაირკვა — გუშინ ფრანგებს ზოგი მოთამაშე გამოაკლდათ, ზოგიც — შეემატათ.

„იუვენტუსის" ფრანგ ნახევარმცველთაგან ერთ-ერთმა, ზინედინ ზიდანმა სერია A-ს ბოლო ტურში „პარმასთან" შეხვედრისას კოჭის ტრავმა მიიღო და ახლა ნაკრებს ვეღარაფრით დაეხმარება — ზიდანი რამდენიმე დღის წინ გაესინჯა ქვეყნის პირველი გუნდის მედპერსონალს, რომელთაც დასვენება ურჩიეს. ზიდანის დარად არ იქნება „მონაკოს" თავდამსხმელი დევიდ ტრეზეგეც, რომლის ერთადერთმა გოლმა კლუბს ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის საგზური არგუნა. ტრეზეგემ ტრავმა შაბათს მიიღო.

ცხადია, გუნდს შევსება სჭირდებოდა და ჟაკეც არ დაბნეულა — ყმაწვილკაცი მონაკოელი ყმაწვილკაცი არსენალელი ნიკოლას ანელკათი შეცვალა. ანელკა ორიოდ კვირაა, რაც 19 წლის შესრულდა.

— კარგა ხანია, თვალს ვადევნებ. მას მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის შანსი აქვს, თუ, რა თქმა უნდა, სათანადოდ გაირჯება — თქვა ჟაკემ. მან ისიც დასძინა, ანელკას თავად ვესაუბრე, ნამდვილად კარგი ბიჭიაო.

რაც შეეხება გუნდს, რუსეთში საფრანგეთის ნაკრები ამ შემადგენლობით ჩაფრინდა: მეკარეები: ფაბიენ ბარტეზი (მონაკო), ლიონელ ლეტიზი (მეცი); მცველები: ვინსენ კანდელა (რომა), მარსელ დესაი (მილანი), ფრენკ ლებეფი (ჩელსი) ლილიან ტურამი (პარმა); ნახევარმცველები: ალენ ბოგოსიანი (სამპდორია), დიდიე დეშამპი (იუვენტუსი), კრისტიან კარემბუ (რეალი), საბრი ლამუში (ოსერი), ემანუელ პეტი (არსენალი); თავდამსხმელები: იური ჯორკაეფი (ინტერი), ბერნარ დიომედი, სტეფან გივარში (ოსერი), მარკ კელერი (კარლსრუე), რობერტ პირესი (მეცი), ნიკოლას ანელკა (არსენალი).

# ფიქრები თამაშის წინ

თითქმის ორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ინგლისი და შვეიცარია საფეხბურთო მინდვრებზე დაუპირისპირდნენ ბოლოს ერთმანეთს. მაშინ, 1996 წლის ზაფხულის პირველ დღეებში, ნისლიანი ალბიონი ევროპის მორიგ ჩემპიონატს მასპინძლობდა. ტურნირის გახსნა სწორედ ინგლისი-შვეიცარიის შეხვედრით შედგა. ის მატჩი ფრედ 1:1 დასრულდა. ახლა, უფრო სწორად — ხვალ, მეტოქეები კვლავ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, მაგრამ ამჯერად კუნძულიდან ევროპის შუაგულში გადმოინაცვლებენ — შვეიცარიელები ინგლისელებს ბერნში უმასპინძლებენ.

ორი კვირით ადრე საქმეს ისეთი პირი უჩანდა, თითქოს სტუმრებს უძლიერესი შემადგენლობა უნდა ჩაეყვანათ შვეიცარიაში, მაგრამ ისე მოხდა, რომ მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონთა შთამომავალი გუნდის ძირითადი ბირთვი, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო იცლება ძალისგან — თითქმის ყოველ დღე აკლდება ნაკრებს ვინმე.

რამდენიმე დღის წინ ინგლისელთა მთავარმა მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა „მანჩესტერ იუნაიტედის", ფეხბურთელები მოისაკლისა, თითქმის ყველა ნაკრებში გამოძახებული ოლდტრეფორდელი დაშავდა, გარდა ტედი შერინგემისა. „ალისფერი ეშმაკების" დარად არსენალელები, ჩელსელები და სხვები ვერ ითამაშებენ.

ასეთ მდგომარეობაში, ცხადია, დროზეა საჭირო სათანადო შემცვლელების გამონახვა. ჰოდა, გლენ ჰოდლიც აქეთ მიდგა, იქით მიდგა და ბიჭებიც შეარჩია. რამდენად სწორი იყო მისი არჩევანი, ამას შეხვედრა დაგვანახებს. ჯერჯერობით მხოლოდ ნაკრებში მიწვეულთა ვინაობების გაცნობით შემოვიფარგლოთ.

ორშაბათს ჰოდლმა ქვეყნის პირველ გუნდში მხოლოდ ორ მოთამაშეს დაუძახა, ორივე ლივერპულელია — დომინიკ მატეოს და ჯეიმი რედნეპს თავის დროზე ინგლისის ახალგაზრდული გუნდის ღირსებაც დაუცვიათ, მაგრამ რომ წამოიზარდნენ და ოსტატთა ნაკრებში ხილვა იშვიათობა გახდა. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ჰოდლმა ჯეიმი რედნეპზე და დომინიკ მატეოზე შეაჩერა არჩევანი, გამოცდილები არიან, თან ამჟამად კარგადაც ირჯებიანო.

...შვეიცარიელთა ინგლისელთა დუელს ბერნის „ვენკდორფის" სტადიონი უმასპინძლებს.

## ფეხბურთის რუკასთან



**ხორვატიის** თორმეტგუნდიან ჩემპიონატში გადამწყვეტი ეტაპი დადგა. ახლა ორი ექვსგუნდიანი ჯგუფი ჩამოყალიბდა — A და B. პირველი ექვსეული ჩემპიონობისთვის იბრძოლებს, B-ჯგუფელები კი — ლიგაში დასარჩენად. გუნდებს ამ ეტაპზე რეგულარულ სეზონში დაგროვილი ქულების ნახევარი გადაუვათ. გუშინ და გუშინწინ პლეი-ოფის პირველი ტურიც გაიმართა. A ჯგუფი: კროაცია — ზადარკომერცი 6:1, ჰაიდუკი — ოსიეკი 2:0, ზაგრები — დრაგოვოლიაცი 2:2. აქ 28 ქულით ერთპიროვნული ლიდერია კროაცია. მეორე ადგილზე 25 ქულით ჰაიდუკია, მესამე კი ზაგრები — 22 ქულა. B ჯგუფი: სლავენი — მლადოსტი 1:0, რიეკა — შიბენიკი 0:0, ვარტექსი— შამობორი 1:0. 15-15 ქულით ლიდერობენ ვარტექსი და სლავენი, მესამე ადგილზე მყოფ რიეკას კი ქულით ნაკლები აქვს.

**სლოვაკეთის ჩემპიონატის მე-19 ტური: სპარტაკი — ტრენჩინი 1:4, ტატრანი — კოშიცე 0:3, ლოკომოტივი — დუნაისკა სტრედა 1:0, ჰუმენე — ტაუროსი 3:0, ბარდეიოვო — პეტრიმექსი 3:1, რუზომბეროკი — არტმედია 0:0, ჟილინა — დუკლა 2:0, ინტერი — სლოვანი 2:3. პირველობას 46 ქულით კოშიცე ინარჩუნებს. მეორე ადგილი ტრნავის სპარტაკს უჭირავს 44 ქულით, მესამე კი ბრატისლავის ინტერია — 36 ქულა.**

**საბერძნეთის** პირველობის 27-ე ტურის ერთი შეხვედრა სალონიკის „ირაკლისსა" და პირეოსის „ოლიმპიაკოსს" შორის კინაღამ ჩაიშალა — თამაშის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე სალონიკელთა უზრდელმა გულშემატკივრებმა სტუმრებს და შეხვედრის არბიტრს სტადიონზე დამონტაჟებული პლასტმასის სკამის ნატეხები, ხურდები და პლასტიკატის ბოთლები დაუშინეს. თავდაპირველად მსაჯი მატჩის ჩატარებას უარობდა, მაგრამ პოლიციელთა აქტიურობის შემდეგ შეხვედრა მაინც შედგა. ცუდი მასპინძლობისთვის პირეოსის „ოლიმპიაკოსმა" დასაჯა „ირაკლისი" და 2:0 დაამარცხა, თავად კი ჩემპიონატის ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა.

**უნგრეთის ჩემპიონატის 22-ე ტური: ფერენცვაროში — ვამაში 1:0, ზალაეგერცეგი — გაზერი 1:2. უპეშტი 47 ქულით პირველობის ერთპიროვნული ლიდერია, მეორე-მესამე ადგილებს 43-43 ქულით „ფერენცვაროში" და „დიორ ეტო" იყოფენ.**

**ლუქსემბურგის** პირველობის მე-15 ტური: გრევენმახერი — სპორა 1:1, სპორტინგი — დუდელანჟი 1:1, ავენირი — რედ ბოიზი 2:0, ვილცი — პეტანჟი 2:1, რუმელანჟი — ჰობშეიდი 1:3, ჟენეს ეში — უნიონი 2:1. ლუქსემბურგის უნიონი 35 ქულით ერთპიროვნული ლიდერია, 33 ქულა აქვს ჟენეს ეშს, ექვსი ქულით ნაკლები კი მესამე ადგილზე მყოფ გრევენმახერს.

**პოლონეთის ჩემპიონატის მე-20 ტური: ზაგლებიე — ლეხი 3:1, გროცლინი — სტომილი 0:1, პოლონია — პეტროხემია 1:0, რუხი — ამიცა 2:0, რაკოვი — გკს 0:1, ოდრა — ლეგია 1:3, ვისლა — ლკს 1:0, გურნიკი — ოსტროვიეცი 1:0. ვიძევი — პოგონის შეხვედრა გადაიდო. დედაქალაქის ლეგია 38 ქულით პირველია, თუმცა ქულით ნაკლები აქვს მეორე ადგილზე მყოფ ლოძის ლკს-ს. 19 თამაშიდან 36 ქულით მესამეა ლოძის კიდევ ერთი გუნდი ვიძევი.**

**სლოვენიის** ჩემპიონატის 22-ე ტურის შეხვედრები: ოლიმპია — მარიბორი 1:3, მურა — რუდარი 4:2, პუბლიკუმი — პრიმორიე 2:1, გორიცა — ვევჩე 4:1, კოროტანი — ბელტინჩი 1:1. 47 ქულით პირველ ადგილზეა მურა, რომელიც მთელი შვიდი ქულით უსწრებს მდევარ მარიბორს. 39 ქულა აქვს მესამე ადგილზე მყოფ პრიმორიეს.

**რუმინეთის პირველობის 25-ე ტური: რესიტა — ოცელული 3:0, ნაციონალი — ჩაჰლაული 5:1, ბაკაუ — ქიული 3:0, ხინდია — პეტროლ[illegible]ული 1:1, [illegible] ოივა) — [illegible] (კლუჟი) 2:0, არჯეში — ფარული 2:0, დინამო — სპორტული 2:0, [illegible] — სტიაუა 0:2, „რაპიდი" — გლორია 2:1. პირველი ორი ადგილი დედაქალაქურმა გუნდებმა დაისაკუთრეს — სტიაუა 60 ქულით ლიდერია, მეორე რაპიდია 58 ქულით. მესამე საფეხურზე გალატის ოცელულია 52 ქულით.**

**ჩეხეთის** ჩემპიონატის მე-20 ტურის შეხვედრები: ვიქტორია (ჟიჟკოვი) — ვიქტორია (პლზენი) 1:0, ბანიკი — პრადეც კრალოვე 3:0, ჩეშკე ბუდეოვიცე — ტეპლიცე 2:0, ბოგდანეცი — სიგმა 1:2, სლოვანი — სპარტა 0:1, კაუჩუკი 1:0, პატრა — ბობი 4:0. პრაღის სპარტა 51 ქულით მეტოქეთათვის კარგა ხნით იქნება მიუწვდომელი. მისი მდევარი, თანაქალაქელ სლავიას მხოლოდ 38 ქულა აქვს. მესამე ოლომოუცის სიგმაა — 34 ქულა.

**ბულგარეთის პირველობის 21-ე ტური: ლოკომოტივი (პლოვდივი) — ცსკა 1:4, ოლიმპიკი — სპარტაკი (პლევენი) 2:1, ლოკომოტივი (სოფია) — დობრუჯა 4:2, მეტალურგი — სლავია 0:1, ლევსკი (სოფია) — ბოტევი 1:0, ნეფტოხიმიკი —ველიკო ტარნოვო 7:0, სპარტაკი (ვარნა) — ლიტექსი 1:1, ლევსკი (კიუსტენდილი) — მინიორი 3:0. ჩემპიონატის ლიდერი 52 ქულით ლიტექსია. მეორეზე სოფიის ლევსკია (49 ქულა), მესამე კი ბურგასის ნეფტოხიმიკი (45).**

**დანიის** ჩემპიონატის მე-20 ტურის მატჩები: ბრონდბიუ — კოპენჰაგენი 2:0, AB — ჰერფოლგე 2:1, ვეილე — ოლბორგი 1:1, ფრემადი — სილკებორგი 0:1, ლუნგბიუ — ორჰუსი 3:0, იკასტი — ოდენსე 1:4. 46 ქულით პირველია ბრონდბიუ, მეორე-მესამე ადგილზე მყოფ კოპენჰაგენსა და სილკებორგს შორის სხვაობა მხოლოდ გატანილ და გაშვებულ ბურთებშია, ქულები კი ორივეს თანაბარი აქვთ — 39.

**აფრიკის კონტინენტზე ამ უქმეებზე კონფედერაციის, ჩემპიონთა და თასების თასის გათამაშების შეხვედრები გაიმართა. აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციის თასზე USFAS-მა შინ მაროკოს „რენესანს სეტატის" ძლევა ვერ მოახერხა — 2:2. ბენინის „ენერჟი სპორტმა" მარცხი განიცადა კოტ დივუარის „არმისთან" 0:3, დაკარში (სენეგალი) ადგილობრივი „ჟანა დარკი" ალჟირულ „მულუდია ორანთან" შედარებით ძლიერი აღმოჩნდა 1:0, უგადუგუში ბურკინა ფასოს ASFA-მ ფრედ 2:2 ითამაშა ნიგერიის „იესპერ იუნაიტედთან", ნაირობში „გორ მაიამ" 1:0 სძლია ეგვიპტურ „ზამალექს", რუანდის APR-მა წააგო სუდანის „ალ ჰილალთან" 0:1, ანგოლის „საგრადა ესპერანსმა" დათმო მატჩი კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდ DCMP-სთან 0:1.**

**აფრიკის** ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მალის „ჯალიბამ" და განის „ჰართს ოთ ოუკმა" ფრედ 0:0 ითამაშეს, ნიგერიის „იგლ კემენტმა" 4:1 გაანადგურა კონგოს „ვიტა კლაბი" 4:1, ჩადის „ტურბილონი" და კამერუნის „კოტონსპორტი" დაზავდნენ 0:0, მავრიკეთის „სანრაიზ ფლიკ იუნაიტედის" და მოზამბიკური „ფეროვიარიო მაპუტოს" შეხვედრა სტუმართა დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა 0:4 კენიის „უტალიმ" სუდანის „ელ მერიჯი სძლია" 4:0, ლოგოს „დინამიკ ლომემ" და გაბონის „ლიბესვოლმა" ფრედ 3:3 ითამაშეს, რუანდის „რეიონ სპორტმა" ტანზანიის „იანგ აფრიკანზის" დამარცხება ვერ შეძლო 2:2, ეთიოპიის „კოფისა" და ეგვიპტის „ალ აჰლის" მატჩი ფრედ 1:1 დამთავრდა. შავი კონტინენტის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის „დრაგონსმა" 3:0 გაანადგურა ბურუნდის „ვიტალიო", ანგოლას „პრემიერ აგოსტომ" 4:0 დაამარცხა ბოტსვანი: „ნოტვეინი", კოტ დევუარის „აფრიკა სპორტსმა" 1:0 სძლია ტოგოს „აგაზა ლომეს", განას „გაპოჰა ტემამ" 3:0 მოუგო ბურკინა ფასოს „ბობო დიულასოს", სამხრეთ აფრიკელმა „მამელოდი სანდაუნსმა" 4:1 წააგებინა ტანზანიას „ტანზანია სტარსს".

**ინგლისის პირველი დივიზიონის 39-ე ტურის ბოლო მატჩი: მიდლსბრო — ნორვიჩი 3:0.**

# თავიც საჭიროა და ფეხიც

## იტალია

XXVI ტური

### ვიჩენცა 1:1 რომა

ვიჩენცა: ბრივიო, მენდესი (სტოვინი 46), ბელოტი, დიკარა, ვივიანი, სკენარდი (ფერმანი 80), დი კარლო, ამბროზინი, ამბროზეტი (დეზეტო 76), ძაული, ლუიზო

რომა: შიმენტი, კაფუ, ძაგო, ალდაირი, კანდელა, ტომაზი, დი ბიაჯო, დალ მორო (დელვეკიო 78), პაულო სერჯიო, ბალბო, ტოტი

0:1 ბალბო (11), 1:1 ლუიზო (23)

გაფრთხილება: კანდელა, სკენარდი, ამბროზინი, დელვეკიო, ვივიანი, კაფუ

### უდინეზე 3:1 ბრეშა

უდინეზე: ტურჩი, ნავასი, ძანკი, ბერტოტო, ჰელვეგი, ვალემი (პინედა 89), სტატუტო, ბაკინი (აპია 92), პოჯი (ლოკატელი 78), ბირჰოფი, ამოროზო

ბრეშა: ჩერვონე, სავინო (დონი 53), ბია, ადანი, ა. ფილიპინი, დიანა, ე. ფილიპინი (კოვაჩიჩი 66), იავორჩიჩი, კოზმინსკი, ჰუბნერი, პირლო (ბიცარი 62)

1:0 ვალემი (41), 2:0 ბირჰოფი (48), 2:1 იავორჩიჩი (78), 3:1 დიანა (85)

გაფრთხილება: ბაკინი, ა. ფილიპინი, ე. ფილიპინი, ბიცარი

### პარმა 2:2 იუვენტუსი

პარმა: ბუფონი, მუსი, ტურამი, კანავარო, ბენარივო, კრიპა, სენსინი, ფიორე, ბლომკვისტი, კიეზა (ადაილტონი 80), სტანიჩი

იუვენტუსი: პერუცი, ბირინდელი (დი ლივიო 41), იულიანო, მონტერო, პესოტო, კონტე, დეშამპი (ტაკინარდი 46), ზიდანი (ზალაიეტა 57), დევიდსი, დელ პიერო, ინძაგი

1:0 სტანიჩი (35), 2:0 კრიპა (40), 2:1 ტაკინარდი (54), 2:2 ინძაგი (59)

გაფრთხილება: კონტე, კრიპა, სტანიჩი, დი ლივიო, მუსი

### ნაპოლი 2:4 ლეჩე

ნაპოლი: ტალიალატელა (დი ფუსკო 46), აიალა, კრასონი, ბალდინი, მალაფრონტე (სკარლატო 81), ალტომარე, ლონგო (პანარელი 68), როსიტო, ტურინი, სტოიაკი, პროტი

ლეჩე: ლორიერი, როსინი, ფ. ბელუჩი (ბარონკელი 57), სიპრიენი, საკიჩი, კასალე, პიანგერელი, ჯანინი, მ. როსი (კონტიკიო 76), პალმიერი, იანუცი (ატიელკინი 53)

0:1 კასალე (2), 0:2 პალმიერი (28), 1:2 პროტი (35პ), 2:2 ალტომარე (74), 2:3 აიალა (76ს.კ.), 2:4 ატიელკინი (93)

გაფრთხილება: ბალდინი, პიანგერელი, ტურინი

### მილანი 0:3 ინტერი

მილანი: ს. როსი, კარდონე (განცი 59), დესაი, მალდინი, ციგე, ბა, ალბერტინი (მაინი 46), დონადონი, ბობანი, ვეა (მანიერო 78), კლუივერტი

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, კოლონეზე, ვესტი, ძანეტი, მორიერო (კანუ 93), ვინტერი, ზე ელიასი (ფრეზი 61), სიმეონე, ჯორკაეფი (კოე 68), რონალდო

0:1 სიმეონე (42), 0:2 რონალდო (76), 0:3 სიმეონე (88)

გაფრთხილება: კოლონეზე, მორიერო, კარდონე, ციგე, ბერგომი

### ლაციო 0:0 პიაჩენცა

ლაციო: მარკეჯანი, შამოტი, ნეგრო, ლოპესი, ფავალი, გოტარდი (კაზირაგი 46), ფუზერი, ვენტურინი, იუგოვიჩი (ალმეიდა 70), ბოკშიჩი, მანჩინი (რამბაუდი 84)

პიაჩენცა: სერენი, როსი, ვალოტი, დელი კარი, ტრამეცანი, ბუზო, მაცოლა, შიენძა, სტროპა (ბორდინი 3), რასტელი (მურჯიტა 81), დიონიჯი (პიოვანი 56)

გაფრთხილება: ლოპესი, ფავალი, ბუზო, ვალოტი

### ფიორენტინა 1:1 ბოლონია

ფიორენტინა: ტოლდო, ფალკონე (ამორუზო 90), ფირიკანო, პადალინო, ტაროცი, კოისი, რუი კოშტა, სერენა, კანჩელსკისი (ედმუნდო 59), ბატისტუტა, ოლივეირა

ბოლონია: სტერკელე, პაგანინი, ტორიზი, მანგონე, არამატი, კრისტალინი (შალიმოვი 90), მაროკი, ტარანტინო, რ. ბაჯო (ნერვო 46), კ. ანდერსონი, კოლივანოვი (ფონტოლანი 71)

1:0 ოლივეირა (36 პ), 1:1 რ. ბაჯო (39პ)

გაფრთხილება: პარამატი, ფალკონე

### ბარი 0:1 სამპდორია

ბარი: მანჩინი, ნექროიზი, სალა (ბრესანი 82), დე როსა (ჯორჯეტი 46), გარსია, დე ასკენტისი, ინგესონი, ვოლპი, მასინგა, ალბაკი (გუერერო 19), ძამბროტა

სამპდორია: ფერონი, შუგო, მანინი, კასტელინი, ლაილე, მიხაილოვიჩი, ბოლოსიანი, ვერგასოლა, ფრანჩესკეტი (პეზარეზი 46), ვერონი (სკარკილი 84), მონტელა (სინიორი 89)

0:1 მონტელა (29)

გაფრთხილება: ინგესონი, ნექროიზი, კასტელინი, ვერონი

გაძევება: ვერგასოლა (37)

### ატალანტა 1:0 ემპოლი

ატალანტა: ფონტანა, პიაჩენტინი, ენგლარო (კარბონე 46), სოტილი, მირკოვიჩი, ძანინი (ლუკარელი 60), გალო, სგრო, ბონაჩინა, კაჩა (როსინი 52), მაგალანესი

ემპოლი: როკატი, ფუსკო (ბეტელა 74), ბალდინი, ბიანკონი, ამეტრანო, პანე, ფიკინი, ლუჩენტი, ფლორიანჩიჩი (ესპოზიტო 85), მარტუშელო, ბონომი (ბიზოლი 77)

1:0 ლუკარელი (84)

გაფრთხილება: ამეტრანო, ბონაჩინა, პიაჩენტინი, ბიანკონი, ფუსკო, გალო, ბონომი, ლუკარელი

...დარჩა რვა ტური. ბრძოლა გამწვავდა. „იუვენტუსი" ერთადერთი ქულით უსწრებს „ინტერს", „ლაციოს" კი მხოლოდ ორით.

...„სან სიროზე" 241-ე მილანური დერბი გაიმართა. ამჯერად მასპინძლად „მილანი" ითვლებოდა. მას ჩემპიონატის შეხვედრებში „ინტერთან" 1994 წლის შემდეგ არ ჰქონდა მოგებული. ვერც ახლა გაიმარჯვა, წააგო და თან ეს წაგება შვიდმატჩიანი წაუგებელი სვლის შემდეგ პირველი გახლდათ.

თუმც 42-ე წუთზე მარჯვენა ფრთიდან ჩაკიდებულ კუთხურს არგენტინელი დიეგო სიმეონე ელვისებურად გამოუხტა, ეფექტური თავურით „მილანის" გოლკიპერი სებასტიანო როსი რეაქციის გარეშე დასტოვა და ანგარიში გახსნა, თავად თამაში მეორე ტაიმის შუამდე გაწონასწორებული იყო. „ინტერის" უპირატესობა ამის შემდეგ გამოიკვეთა და ეს მისი მოთამაშეების ინდივიდუალური სიძლიერის შედეგი გახლდათ. 76-ზე ფრანჩესკო მორიერომ მარჯვენა ჰაფბეკის პოზიციიდან რონალდოს კარგი პასით შეუქმნა როსისთან პირისპირ გასვლისა და მიზნიანად ბურთის თავზე გადაგდების საშუალება, საფინალო სასტვენამდე 60 წამით ადრე კი უკვე რონალდოს პასის ჯერი დადგა, როსის კვლავ სიმეონემ აწყენინა.

მაშ ასე, „ინტერი" „იუვენტუსს" წამოეწია, თითქმის გაუტოლდა. ეს ტურინელთა მიერ პარმაში ნათამაშევი ფრის გამო მოხდა. შეხვედრაში, რომელიც „ბებერი ქალბატონის" ხელმძღვანელისთვის, მარჩელო ლიპისთვის კლუბში მეორასე გახლდათ, პირველ ტაიმში „პარმა" დაწინაურდა. დაწინაურდა კი არა და ორი უპასუხო გოლი შეაგდო, რაც როგორც წესი, მატჩის ბედსაც განაპირობებს ხოლმე, მაგრამ არა „იუვენტუსთან". 200 თამაშიან გამოცდილებას ჭაღარა მწვრთნელისთვის უკვალოდ არ ჩაუვლია. გასახდელში ტურინელთა ტაქტიკა შეიცვალა. ლიპიმ რომ შეატყო ნაცადი წესი, წინა თამაშში გამარჯვებული გუნდის შეუცვლელობა არ ამართლებსო (გასული კვირის შუაში „იუვენტუსმა" ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალში შთამბეჭდავად დაამარცხა კიევის „დინამო") დაუყოვნებლივ ცვლილებები შეიტანა, მოედანზე ალესიო ტაკინარდი და ანჯელო დი ლივიო შეიყვანა და თამაშის განახლებიდან ათი წუთიც არ იყო გასული, რომ ანგარიში გათანაბრდა.

რატომღაც ფრედ ითამაშა „ლაციომაც". რომაელებმა შინ ვერ დაამარცხეს ბოლოდან მეოთხე „პიაჩენცა". ეს უთუო უცნაურობა, რომლის გამოც „ლაციო" ტურინელ ლიდერს ვერ გაუთანაბრდა, მისმა შვედმა მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა ასე განმარტა:

— მოედანზე მიმდინარე ამბებში არც ჩვენი ფეხები მონაწილეობდა და არც გონება.

რატომ მოხდა ასე ძნელი სათქმელია, ფაქტი კი ერთია, „ლაციო" ზედიზედ მე-15 მატჩში არ დამარცხდა და მესამე ადგილი შეინარჩუნა, რაც ამ გუნდისთვის თავისთავად ურიგო არ არის, მაგრამ გამარჯვება მაინც სხვა იქნებოდა. ალსანიშნავია ის გარემოებაც, რომ რომაელებს „პიაჩენცასთან" შეხვედრაში არ ჰყავდათ ჩეხი პაველ ნედვედი და „სკუადრა აზურას" მოთამაშე ალესანდრო ნესტა.

„ფიორენტინა" ფლორენციაში რობერტო ბაჯოს „ბოლონიას" მასპინძლობდა. მატჩის მოკლე აღწერად ეს ივარგებს: აქეთ პენალტი, იქით პენალტი — 1:1. აქეთ, ანუ ფლორენციელთა პენალტი 36-ე წუთზე ლუის ოლივეირამ გაიტანა, იქით — ბაჯომ.

ოდესღაც, დიდი ხნის წინ, რობერტო ბაჯო „ფიორენტინას" ფეხბურთელი იყო და იქიდან „იუვენტუსში" გადავიდა. საყოველთაოდ ცნობილი ამბავია, რომ ეს ორი გუნდი, უფრო სწორედ მისი ქომაგები ერთმანეთს ვერ იტანენ. მაშინ, ბაჯოს ტრანსფერს დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. შემდეგ, „იუვენტუსი" ფლორენციაში ჩავიდა და... ბაჯომ ძველი გუნდის კარში დანიშნული პენალტის დარტყმა იუარა. დიდი ამბავი იყო, ქუჩებში არეულობა მოჰყვა.

კვირას, ბაჯოს ძველი გუნდის კარში პენალტის დარტყმა არ უყოყმანია. მეტიც, თავად თერთმეტმეტრიანი არც იყო დასანიშნი, მსაჯი მოტყუვდა, მიქელე პარამატის ლამაზი წაქცევა წესების დარღვევად მიიჩნია. ბაჯო აუღელვებლად მივიდა ბურთთან, გაასწორა, შემდეგ უკან დაიწია, გამოიქცა, შეყოვნდა, დაარტყა, გაიტანა... მსაჯმა არ ჩათვალა, შეყოვნება არ შეიძლებოდა.

ბაჯომ თავიდან დადო ბურთი თეთრ წერტილზე, გამოიქცა და შეაგდო.



REUTERS პარმიდან

პარმა — იუვენტუსი. დევიდსს თუ გადააფრინდები...

### პაპუნა ძიძია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 26 | 15 | 9 | 2 | 54:24 | 54 |
| ინტერი | 26 | 16 | 5 | 5 | 48:21 | 53 |
| ლაციო | 26 | 15 | 7 | 4 | 46:17 | 52 |
| უდინეზე | 26 | 14 | 7 | 5 | 49:30 | 49 |
| რომა | 26 | 12 | 9 | 5 | 46:31 | 45 |
| პარმა | 26 | 12 | 9 | 5 | 41:27 | 45 |
| ფიორენტინა | 26 | 10 | 11 | 5 | 47:29 | 41 |
| მილანი | 26 | 10 | 9 | 7 | 32:27 | 39 |
| სამპდორია | 26 | 10 | 7 | 9 | 40:44 | 37 |
| ბოლონია | 26 | 7 | 10 | 9 | 37:36 | 31 |
| ვიჩენცა | 26 | 8 | 6 | 12 | 28:48 | 30 |
| ბრეშა | 26 | 7 | 6 | 13 | 35:43 | 27 |
| ემპოლი | 26 | 7 | 5 | 14 | 36:44 | 26 |
| ბარი | 26 | 7 | 5 | 14 | 23:37 | 26 |
| პიაჩენცა | 26 | 4 | 13 | 9 | 18:30 | 25 |
| ატალანტა | 26 | 5 | 9 | 12 | 20:38 | 24 |
| ლეჩე | 26 | 4 | 5 | 17 | 23:58 | 17 |
| ნაპოლი | 26 | 2 | 6 | 18 | 19:58 | 12 |

### სერია B

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალერნიტანა | 27 | 15 | 10 | 2 | 50:21 | 55 |
| ვენეცია | 27 | 14 | 8 | 5 | 40:22 | 50 |
| კალიარი | 27 | 13 | 11 | 3 | 39:21 | 50 |
| ტორინო | 27 | 11 | 8 | 8 | 37:32 | 41 |
| კიევო | 27 | 10 | 9 | 8 | 30:29 | 39 |
| რეჯანა | 27 | 10 | 8 | 9 | 28:24 | 38 |
| ტრევიზო | 27 | 9 | 10 | 8 | 31:31 | 37 |
| ჯენოა | 27 | 10 | 7 | 10 | 41:42 | 37 |
| პერუჯა | 27 | 9 | 10 | 8 | 28:30 | 37 |
| რეჯინა | 27 | 9 | 10 | 8 | 23:26 | 37 |
| პესკარა | 27 | 9 | 8 | 10 | 30:33 | 35 |
| ლუკეზე | 27 | 9 | 8 | 10 | 26:30 | 35 |
| ფ.ანრია | 27 | 8 | 10 | 9 | 29:31 | 34 |
| ვერონა | 27 | 9 | 6 | 12 | 34:30 | 33 |
| მონცა | 27 | 5 | 14 | 8 | 33:37 | 29 |
| რავენა | 27 | 7 | 8 | 12 | 27:31 | 29 |
| ანკონა | 27 | 6 | 9 | 12 | 31:44 | 27 |
| პადოვა | 27 | 6 | 9 | 12 | 21:35 | 27 |
| ფოჯა | 27 | 6 | 8 | 13 | 29:40 | 26 |
| დი სანგრო | 27 | 3 | 13 | 11 | 28:46 | 22 |

## ესპანეთი

მეორე დივიზიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალავესი | 33 | 17 | 9 | 7 | 37:22 | 60 |
| ესტრემადურა | 33 | 17 | 9 | 7 | 45:32 | 60 |
| ლას პალმასი | 33 | 14 | 15 | 4 | 57:34 | 57 |
| ვილიარეალი | 33 | 15 | 12 | 6 | 40:30 | 57 |
| სევილია | 33 | 14 | 8 | 11 | 39:33 | 50 |
| ერკულესი | 33 | 13 | 10 | 10 | 41:34 | 49 |
| ლეგანესი | 33 | 12 | 13 | 8 | 36:35 | 49 |
| ატლეტიკო | 33 | 13 | 9 | 11 | 50:40 | 48 |
| ეიბარი | 33 | 12 | 12 | 9 | 31:24 | 48 |
| რაიო | 33 | 13 | 8 | 12 | 36:31 | 47 |
| ბადახოსი | 32 | 11 | 13 | 8 | 35:26 | 46 |
| ლეიდა | 33 | 13 | 7 | 13 | 36:38 | 46 |
| ორენსე | 33 | 11 | 10 | 12 | 32:32 | 43 |
| ოსასუნა | 32 | 11 | 9 | 12 | 29:28 | 42 |
| ალბასეტე | 33 | 11 | 9 | 13 | 36:42 | 42 |
| ტოლედო | 33 | 8 | 14 | 11 | 30:38 | 38 |
| ელჩე | 33 | 9 | 10 | 14 | 36:44 | 37 |
| ლოგრონიესი | 33 | 6 | 14 | 13 | 24:34 | 32 |
| ხაენი | 33 | 6 | 13 | 14 | 26:41 | 31 |
| სერესი | 33 | 6 | 13 | 14 | 18:33 | 31 |
| ნუმანსია | 33 | 6 | 13 | 14 | 21:42 | 31 |
| ლევანტე | 33 | 5 | 8 | 20 | 24:46 | 23 |

## საბერძნეთი

27-ე ტური. კალამატა — კავალა 0:2; ოფი — პანიონისი 3:0; პანათინაიკოსი — პაოკი 3:1; ქსანთი — პანილიაკოსი 2:0; ეთნიკოსი — ვერია 0:1; იონიკოსი — პრუდეფტიკი 1:0; ათინაიკოსი — პანახაიკი 3:2; ირაკლისი — ოლიმპიაკოსი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 27 | 23 | 1 | 3 | 70:18 | 70 |
| პანათინაიკოსი | 27 | 22 | 1 | 4 | 73:22 | 67 |
| აეკი | 26 | 18 | 5 | 3 | 48:23 | 59 |
| პაოკი | 27 | 16 | 6 | 5 | 49:31 | 54 |
| იონიკოსი | 27 | 16 | 6 | 5 | 40:23 | 54 |
| ირაკლისი | 27 | 13 | 7 | 7 | 42:33 | 46 |
| ოფი | 27 | 11 | 3 | 13 | 37:46 | 36 |
| პანილიაკოსი | 27 | 9 | 8 | 10 | 37:36 | 35 |
| ქსანთი | 27 | 10 | 5 | 12 | 42:46 | 35 |
| ვერია | 27 | 9 | 5 | 13 | 30:37 | 32 |
| აპოლონი | 26 | 9 | 5 | 12 | 24:33 | 32 |
| პანიონისი | 27 | 9 | 3 | 15 | 32:40 | 30 |
| პანახაიკი | 27 | 8 | 3 | 16 | 24:48 | 27 |
| ათინაიკოსი | 27 | 6 | 5 | 16 | 22:43 | 23 |
| პრუდეფტიკი | 27 | 6 | 5 | 16 | 28:53 | 23 |
| ეთნიკოსი | 27 | 7 | 1 | 19 | 20:42 | 22 |
| კალამატა | 27 | 5 | 6 | 16 | 18:40 | 21 |
| კავალა | 27 | 5 | 5 | 17 | 29:51 | 20 |


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ამხანაგური მატჩები

25 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩეხეთი — ირლანდია | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| რუსეთი — საფრანგეთი | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| შვეიცარია — ინგლისი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| ბელგია — ნორვეგია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| უელსი — იამაიკა | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| გერმანია — ბრაზილია | 2,6 | 2,7 | 2,6 |
| ავსტრია — უნგრეთი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,1 |
| ჩრდ. ირლანდია — სლოვაკეთი | 2,1 | 3,0 | 3,1 |
| შოტლანდია — დანია | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ესპანეთი — შვედეთი | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი.

25 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ტილბურგი — გრონინგენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ვოლენდამი — ნაიმეგენი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| მაასტრიხტი — გრააფსხაპი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ეინდჰოვენი — როდა | 1,2 | 5,3 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 3,3 |
| ვალვაიკი — ტვენტე | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| სიტარდი — ფეიენოორდი | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| ვიტესი — ბრედა | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 26 მარტი | | | |
| ჰერენვენი — უტრეხტი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

## CROCO-2

### ტირაჟი №15

1. ჩეხეთი — ირლანდია
2. რუსეთი — საფრანგეთი
3. შვეიცარია — ინგლისი
4. ბელგია — ნორვეგია
5. უელსი — იამაიკა
6. გერმანია — ბრაზილია
7. ჩრდ. ირლანდია — სლოვაკეთი
8. შოტლანდია — დანია

მე-14 ტირაჟიდან **CROCO**-2-ში 8 თამაშის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 500 ლარი; 7 თამაშისთვის — 5 ლარი.

ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება **JACK POT**

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16;
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეგულარული ჩემპიონატი

# ჯორდანს მელოუნი ურჩევნიათ



მილუოკი — ინდიანა. მილუოკელი გრინი ალყაში მოუმწყვდევიათ

### ნიუ იორკი 119:124 იუტა

(28:16, 29:25, 18:22, 25:25, 8:8, 13:18)

**ნიუ იორკი: უორდი (17), სტარქსი (26), ჰიუსტონი (25), ჯონსონი (9), ოუკლი (12), მილზი (15), კამინგსი (6), ჩილდსი (9), ბოვი, უილიამსი**
**იუტა: სტოქტონი (22), ჰორნაჩეკი (16), კიფი (25), მელოუნი (30), ფოსტერი (6), რასელი (14), ეისლი (2), ანდერსონი (8), მორისი (1), ოსტერტაგი**

ამ ორი გუნდისთვის მთავარი ბრძოლები ახლა იწყება. ნიუ იორკი ცდილობს, როგორმე არ დაკარგოს აღმოსავლეთი კონფერენციის მეშვიდე ადგილი და ძლივს ინარჩუნებს მას არნახულად მძაფრ კონკურენციაში. დასავლეთში კი თითქმის ყველაფერი ნათელია: აქ თითქმის გარკვეულია პლეი ოფის რვა გუნდი. პირველი ადგილის მოსაპოვებლად იუტაც იბრძვის, მან ისარგებლა სიეტლის წაფორხილებით და წამოეწია მას, ნიუ იორკთან ორ ოვერტაიმში მოგებული თამაშით კი სულაც გაუთანაბრდა. მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ვერც ერთი გუნდი საგრძნობლად ვერ დაწინაურდა, ბოლოს კი სასწორი ნიუ იორკის მხარეს გადაიხარა. თამაშის ბოლოსთვის მასპინძლები 7 ქულით ლიდერობდნენ, მაგრამ იუტამ არ აცალა გახარება და უცებ წამოეწია. ნიუ იორკს მაინც შეეძლო მოგება, მაგრამ 1,7 წამით ადრე ჰიუსტონმა საჯარიმო ააცილა. ნიუ იორკს პირველ ოვერტაიმშიც ჰქონდა გამარჯვების შანსი, მაგრამ აქ უკვე სტარქსის სროლა გამოდგა უზუსტო, იუტამ კი მასპინძლებს ასეთი შანსი აღარ მისცა მეორე ოვერტაიმში და მასპინძლები ხახამშრალი დატოვა.

20 მარტი

### სან ანტონიო 82:92 შარლოტი

**სან ანტონიო: დანკანი (25+12 მოხსნა)**
**შარლოტი: ფილზი (21), გეიგერი (18), უესლი (18+10 პასი + 8 მოხსნა)**

დასავლეთში ერთ-ერთმა საუკეთესო სან ანტონიომ შინ თავი შეირცხვინა NBA-ს ყველაზე სწრაფ გუნდთან, რომელმაც მეტოქეს დასაწყისშივე თავბრუდამხვევი ტემპი შესთავაზა და იოლადაც გაუსწორდა. შერცხვა გუნდის სული და გული დევიდ რობინსონიც, რომელმაც 18 სროლიდან მხოლოდ ხუთის ჩაგდება მოახერხა და 11 ქულას და 10 მოხსნასღა გამოჰკრა ხელი. არადა, რობინსონი ბევრს დღესაც პლანეტის უძლიერეს ცენტრად მიაჩნია, მაგრამ ამ ბოლო დროს იგი ჩვეულად ველარ იბრიყვებს მეურვეებს და ხშირად ძლეულიც რჩება. ასე იყო ახლაც, შარლოტის მეორე ცენტრმა (პირველი დივაცია) მეტ გეიგერმა მასზე მეტი ქულა გააზერხა.

### დეტროიტი 105:99 ტორონტო

**დეტროიტი: ჰილი (25), უილიამსი (24+18 მოხსნა)**
**ტორონტო: ბილაპსი (22), კრისტი (19)**

ცენტრალურ დივიზიონში მეექვსე დეტროიტს თითქოს არ უნდა გასჭირვებოდა ამავე დივიზიონის ფსკერზე მხოხავ ტორონტოსთან გამარჯვება და თამაშის ბოლოს 100:89 იგებდა. და მაშინ, როცა ყველამ ჩათვალა, დეტროიტს მოგება ჯიბეში უდევსო, ტორონტომ თავი გაიგიჟა, 10:1 გაიქცა და 1.31 წუთით ადრე 101:99 გახდა. მაგრამ დეტროიტელები, რომელთაც წუთზე მეტი იყო, ბურთი არ ჩაუგდიათ, გონს მოეგნენ და მაინც გაიმარჯვეს. თამაშის შემდეგ მასპინძელთა მწვრთნელმა ელვინ ჯენტრიმ შეგირდებს დაუცაცხანა, ამასწინათ იუტასთან კი წავაგეთ,



ლეიკერსი — სიეტლი. ლეიკერსელ რობერტ ჰორის (5) ბურთს ჯიმ მაკილვაინი ედავება

მაგრამ მაშინ კარგები იყავით, ახლა კი ამ ტორონტოსთან რა ღმერთი გაგიწყრათო.

### მაიამი 93:87 გოლდენ სტ.

**მაიამი: მურნინგი (25+13 მოხსნა + 5 დაფარება), ლენარდი (21)**
**გოლდენ სტეიტი: კეფი (20), ჯექსონი (19)**

თუ კარგ გუნდს კარგი სათადარიგოთა სკამიც აქვს, აი, მაშინ შეუძლია ჩემპიონობის მოსაპოვებლად ბრძოლა — თქვა მატჩის შემდეგ მაიამის უკვე ლეგენდარულმა მწვრთნელმა პატ რაილიმ, რომელიც შედეგით კმაყოფილი კი დარჩა, მაგრამ თავის ბიჭებს გარჯა დაუწუნა. მაიამის სათადარიგოებმა მართლაც ვერ ივარგეს, მათ ანგარიშზე, ისინი კი ხუთნი არიან, მხოლოდ 13 ქულაა, მაშინ როცა სტუმრების ერთ-ერთმა სათადარიგომ, ექსჩიკაგოელმა ჯეისონ კეფიმ 20 ქულა დააგროვა და თავსიანებში ყველას აჯობა.

### ორლანდო 102:87 პორტლენდი

**ორლანდო: ბენოიტი (19)**
**პორტლენდი: გრანტი (21+16 მოხსნა), უოლესი (19)**

ორლანდოს თურმე ანდერსონის გარეშეც შესძლებია თამაში, თან არცთუ ურიგოდ. ორლანდოელებმა საბონისის (16 ქულა) პორტლენდი გააბითურეს. თავად ანდერსონმა 11 წუთი ითამაშა და 9 ქულის მითვლა მოასწრო, მერე კი მეტოქესთან ჭიდილში ძველი ტრავმათაგანი გაიმიზეზა და მაყურებლებში გადაინაცვლა.

### ფილადელფია 79:91 იუტა

**ფილადელფია: აივერსონი (28)**
**იუტა: მელოუნი (23+16 მოხსნა)**

„იუტა ჯაზის" სუპერვარსკვლავმა კარლ მელოუნმა ფილადელფიას 23 ქულა ჩაუგდო, სულ კარიერაში 27 327 დაუგროვდა და 14 ქულით გადაასწრო ლიგაში მეხუთე ელვინ ჰეისს. მელოუნს მთელი იუტას შტატი აღმერთებს, მისმა თანაგუნდელმა ჯეფ ჰორნაჩეკმა კი განაცხადა, კარლი ამჯერადაც აჯობებს ჯორდანს და უძვირფასესი გახდებაო. ფილადელფიას კი იუტასთან ალენ აივერსონის 28 ქულამაც ვერ უშველა, ვინაიდან მან ერთადერთმა შეძლო თავისი მონაგრის ორნიშნა რიცხვით გამოსახვა.

### ინდიანა 99:92 ნიუ ჯერსი

**ინდიანა: მილერი (21), მულინი (20)**
**ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (21)**

ინდიანამ პირველი მეოთხედი 12 ქულით მოიგო და დარჩენილი დრო ამ უპირატესობის შენარჩუნებას შიანდომა. ნიუ ჯერსი მწარედ კი იკბინებოდა და რამდენჯერმე საკმაოდაც მიუახლოვდა მეტოქეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ იხერა. ნიუ ჯერსი ამჟამად ძალიან გასაჭირშია, დივიზიონის პირველობისთვის მებრძოლი გუნდი ახლა პლეი ოფში მოხვედრაზეღა ოცნებობს.

### ლეიკერსი 93:80 სიეტლი

**ლეიკერსი: ონილი (24+16 მოხსნა), ფოქსი (18)**
**სიეტლი: შრემპფი (17)**

ამ ორი დასავლელი გიგანტის პირველ სამ მატჩში სიეტლმა იმარჯვა, ასე რომ, მასპინძლებს ბოღმა ახრჩობდათ. ონილი და მისი რაზმი უცებვე ფიცხლად ეკვეთნენ სტუმრებს და თუმც პირველ მეოთხედში ბევრი ვერაფერი დააკლეს, მეორეში აშკარად დაიბრიყვეს. ლომივით მებრძოლი შაკილ ონილის შეჩერებას სიეტლელები ჯარიმებითღა ცდილობდნენ და... შაკიც აცილებდა და აცილებდა ჯარიმებს (15-დან 4 ჩააგდო). სამაგიეროდ, უჯარიმოდ იყო ზუსტი — 14-დან 10 ჩააგდო, მისი მეთაურობით კი პირველი ნახევრის ერთი მონაკვეთი მასპინძლებმა 16:1 მოიგეს და 17 ქულით დაწინაურდნენ. ლეიკერსი არც მეორე ნახევარში მოდუნებულა, შინ ზედიზედ მეშვიდედ იმარჯვა და მეტოქის ჯავრიც ამოიყარა.

21 მარტი

### კლიპერსი 79:100 კლივლენდი

**კლიპერსი: ტეილორი (17+11 მოხსნა)**
**კლივლენდი: კემპი (27+13 მოხსნა), ჰენდერსონი (20)**

კლივლენდმა იოლად მოუგო მასპინძლებს, თანაც ზედიზედ მეექვსედ, რაშიც ლომის წილი შონ კემპმა დაიდო. მას კარგად წაეხმარნენ ახალბედები სედრიკ ჰენდერსონი და ჟიდრუნას ილგაუსკასი (19 ქულა, 12 მოხსნა, 4 დაფარება). სტუმრები თავიდანვე 28:12 დაწინაურდნენ და მეტოქე არც მერე გაიკარეს ახლო.

### დალასი 95:103 ჰიუსტონი

**დალასი: ფინლი (26), ბრედლი (23)**
**ჰიუსტონი: ბარკლი (23+13 მოხსნა), ოლაჯუონი (20+13 მოხსნა)**

ტეხასურ დერბიში სტუმრებმა იოლად იმარჯვეს. მასპინძელთა მწვრთნელმა დონ ნელსონმა, რომელსაც NBA-ში ყველაზე მეტჯერ (სამჯერ) მოუპოვებია წლის მწვრთნელის წოდება, შეასრულა დანაქადნი და გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, 229 სანტიმეტრიანი შონ ბრედლი ხუთეულში არ ათამაშა. „გაბრაზებული" ბრედლიც ფინლის შემდეგ ყველაზე შედეგიანი იყო, თანაგუნდელთაგან ყველაზე მეტი, 9 მოხსნაც გააზერხა, თუმცაღა მარტოხელა ვერას გახდა ბარკლისთან, ოლაჯუონთან, უილისთან (11 მოხსნა) და მისიანებმა ფარი 35:53 წააგეს.

### მინესოტა 102:88 ვანკუვერი

**მინესოტა: გარნეტი (22), მიტჩელი (18)**
**ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (31)**

სტუმრებმა მატჩი დიდი მონდომებით კი დაიწყეს, მაგრამ მერე გატყდნენ და ნახევარი 8 ქულით დათმეს. მეორეში კი მხოლოდ აბდურ-რაჰიმი აგრძელებდა ბრძოლას, მაგრამ ერთი ვის რას დააკლებდა.

### ფინიქსი 109:102 სიეტლი

**ფინიქსი: რობინსონი (29), ჩეპმენი (28), მენინგი (25)**
**სიეტლი: პეიტონი (30)**

წყნარი ოკეანის დივიზიონის ლიდერმა სიეტლმა მის მდევარ ლეიკერსთან სტუმრად მარცხს ცხრილში მესამე ფინიქსთან წაგებაც მიაყოლა. სტუმართაგან თავი გამოიდო ლეიკერსთან უხეიროდ გარჯილმა მათმა ლიდერმა გერი პეიტონმა, მაგრამ თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს. თამაში მაინც კარგი საცქერი გამოდგა. სიეტლი თავიდანვე ჩამორჩა მეტოქეს, მაგრამ პეიტონის ძალისხმევით ძალიან წინაც არ გაუშვია. ბოლო მეოთხედის შუაწელს პეიტონმა 91:88 გახადა, მაგრამ შემდეგ მისიანებმა 7 უპასუხო ქულა მიიღეს და ამ სეზონში ფინიქსთან ორი მოგების შემდეგ პირველად დამარცხდნენ.

22 მარტი

### სან ანტონიო 93:83 ფინიქსი

**სან ანტონიო: დანკანი (26+12 მოხსნა)**
**ფინიქსი: ჩეპმენი (30)**

სანანტონიოელებს ფინიქსთან ამ სეზონის სამ შეხვედრაში ვერცერთხელ მოეგოთ, ასე რომ ამ მატჩს მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სხვაც თუ არაფერი, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, პლეი ოფის პირველ წრეში ეს გუნდები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. მატჩის დაწყებისთანავე სან ანტონიომ იერიში მიიტანა მეტოქეზე, თუმც ვერას გახდა, მაგრამ დანკანის მეცადინეობით მესამე მეოთხედი მაინც მასპინძლებმა მოიგეს 31:19 და უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვიათ. მასპინძელთა ლიდერი დევიდ რობინსონი კვლავ ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე (16 ქულა) და უკვე მერამდენედ მოექცა დანკანის ჩრდილში.

### საკრამენტო 93:96 ლეიკერსი

**საკრამენტო: უილიამსონი (24), რიჩმონდი (22)**
**ლეიკერსი: ონილი (33+13 მოხსნა)**

სიეტლთან ნაომარ ლეიკერსს გაცილებით სუსტმა საკრამენტომ დიდი წინააღმდეგობა გაუწია და ლამის მოუგო კიდეც, მაგრამ ლეიკერსს ჰყავს კობი ბრაიანტი (12 ქულა), ვინც ხშირად გაჭირვების ტალკვესად ევლინება შაკილის ლეიკერსს. ამჯერადაც მან ბოლო ნახევარ წუთში ოთხი საჯარიმო ჩააგდო და თავისიანებს მეცხრედ მოაგებინა ბოლო 10 თამაშში.

### ნიუ ჯერსი 100:102 ვაშინგტონი

**ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (29), კოტლზი (21)**
**ვაშინგტონი: უებერი (25), ჩინი (21)**

ორივე გუნდი კბილებით იბრძვის პლეი ოფის საგზურის მოსაპოვებლად და ეს შეხვედრაც დაძაბულად წარიმართა. ვაშინგტონელებმა აშკარად უკეთ დაიწყეს და პირველი ნახევარი 14 ქულით მოიგეს. ნიუ ჯერსი, რა თქმა უნდა, ვერ შეეგუა მარცხს და ნელ-ნელა შეივსო ქულების დეფიციტი, სირენამდე რამდენიმე წამით ადრე კი მასპინძლებში საუკეთესო ვან ჰორნმა მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. აქაც ფიცხელი, ქულა-ქულაზე თამაში გაჩაღდა, დამთავრებამდე ორიოდე წამით ადრე კი კრის უებერმა ორიდან ერთი საჯარიმო ჩააგდო და თავისიანებს მოაგებინა. ამ სეზონში მეტოქეთა შორის 3:1 ვაშინგტონის სასარგებლოდ.

### მილუოკი 94:96 ინდიანა

**მილუოკი: ალენი (25), კარი (21)**
**ინდიანა: მილერი (32)**

სამი ლიდერის გარეშე მოთამაშე მილუოკიმ დიდი ომი კი გაუმართა ინდიანას, მაიკლ კარიმ 21 ქულით კარიერის რეკორდიც დაიმყარა, მაგრამ მასპინძლები მაინც ვერას გახდნენ და ზედიზედ მეცხრედ დამარცხდნენ.

### ორლანდო 92:93 გოლდენ სტ.

**ორლანდო: აუთლოო (22)**
**გოლდენ სტეიტი: მარშალი (23+12 მოხსნა)**

### ბოსტონი 108:90 ფილადელფია

**ბოსტონი: ბარასო (27)**
**ფილადელფია: რეთლიფი (27+11 მოხსნა), აივერსონი (21)**

ბოსტონელ დანა ბაროსს, ვისაც კარიერის საუკეთესო წლები სწორედ ფილადელფიაში გაუტარებია, თითო-თითო მოხსნა-პასი დააკლდა სამმაგ დუბლამდე.

### ტორონტო 100:102 ჩიკაგო

**ტორონტო: უოლესი (26), კემბი (23)**
**ჩიკაგო: ჯორდანი (33), პიპენი (33)**

ცოტაც და, ტორონტო გაიმეორებდა დალასელთა სენსაციას და დაამარცხებდა ჩიკაგოს, მაგრამ ჯორდანმა 5,4 წამით ადრე გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო და 33 ათას მაყურებელს ხმა გააკმედინა. ამ მოგების შემდეგ ჩიკაგომ გაუსწრო რეგულარული ჩემპიონატის უცვლელ ლიდერ სიეტლს, თან აღმოსავლელთაგან პირველი გუნდი გახდა, ვინაც პლეი ოფი დაიჯავშნა.

### მაიამი 112:80 პორტლენდი

**მაიამი: სტრიკლენდი (23)**
**პორტლენდი: რაიდერი (23)**

### დეტროიტი 105:98 ატლანტა

**დეტროიტი: სტეკჰაუზი (23), უილიამსი (23)**
**ატლანტა: სმიტი (22)**

#### აღმოსავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტის დივიზიონი** | | | |
| მაიამი | 48 | 21 | 69,6 |
| ნიუ იორკი | 37 | 31 | 54,4 |
| ვაშინგტონი | 35 | 33 | 51,5 |
| ორლანდო | 35 | 33 | 51,5 |
| ნიუ ჯერსი | 35 | 34 | 50,7 |
| ბოსტონი | 30 | 37 | 44,8 |
| ფილადელფია | 25 | 42 | 37,3 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ჩიკაგო* | 51 | 17 | 75,0 |
| ინდიანა | 48 | 20 | 70,6 |
| შარლოტი | 43 | 24 | 64,2 |
| ატლანტა | 40 | 27 | 59,7 |
| კლივლენდი | 37 | 30 | 55,2 |
| დეტროიტი | 32 | 36 | 47,1 |
| მილუოკი | 29 | 38 | 43,3 |
| ტორონტო | 15 | 52 | 22,4 |

#### დასავლეთის კონფერენცია

| | | | |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა* | 50 | 17 | 74,6 |
| სან ანტონიო* | 46 | 22 | 67,6 |
| ჰიუსტონი | 36 | 31 | 53,7 |
| მინესოტა | 35 | 33 | 51,5 |
| დალასი | 16 | 52 | 23,5 |
| ვანკუვერი | 15 | 52 | 22,4 |
| დენვერი | 8 | 61 | 11,6 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი | 50 | 17 | 74,6 |
| ლეიკერსი | 48 | 19 | 71,6 |
| ფინიქსი | 45 | 23 | 66,2 |
| პორტლენდი | 37 | 30 | 55,2 |
| საკრამენტო | 26 | 43 | 37,7 |
| კლიპერსი | 15 | 52 | 22,4 |
| გოლდენ სტეიტი | 14 | 54 | 20,6 |

* უკვე გავიდა პლეი ოფში

# დრექსლერი პროფესორობას აპირებს



კლაიდ დრექსლერი

„ჰიუსტონ როკეტსის" ვარსკვლავმა კლაიდ დრექსლერმა განაცხადა, რომ ბოლო სეზონს თამაშობს, კარიერის დასრულების შემდეგ კი ჰიუსტონის უნივერსიტეტის გუნდის მწვრთნელობა განუზრახავს. მან გასულ სამშაბათს კონტრაქტი გააფორმა სტუდენტთა შეფებთან და წელიწადში 1,2 მილიონ დოლარს მიიღებს. დრექსლერს მოადგილეებიც დაენიშნა: როდ ჯეტისი, დევიდ როუზი და ჯორჯ უოლკერი. ესენიც „ჰიუსტონ როკეტსში" თამაშობდნენ. დრექსლერს სტუდენტობა სწორედ ამ უნივერსიტეტში გაუტარებია დღევანდელ თანაგუნდელ ჰაკიმ ოლაჯუონთან ერთად. 10-გზის ოლსტარელი დრექსლერი შარშან NBA-ს ყველა დროის 50 საუკეთესო მოთამაშეს შორის დაასახელეს. მან თავისი ყოფილი გუნდი პორტლენდი ორჯერ — 1990 და 1992 წლებში პლეი ოფის ფინალში გაიყვანა, 1995 წელს კი ჰიუსტონს დაეხმარა ზედიზედ მეორედ გაჩემპიონებაში. დღესდღეობით დრექსლერი თავისი თაობის სუპერვარსკვლავებით სავსე ჰიუსტონში ყველაზე შედეგიანია. იგი საშუალოდ 18,6 ქულას აგროვებს, ამ, მისთვის ბოლო სეზონში კი 5,5 მილიონ დოლარს იღებს. დრექსლერის მისვლას ჰიუსტონის უნივერსიტეტში ყველა იმედის თვალით უყურებს: ამ გუნდმა ხომ ამჟამინდელი მწვრთნელის ელვინ ბრუქსის ხელში 29 მატჩიდან 20 წააგო.

## ჩოგბურთი

# ალგებრას სპირლეა ურჩევნია

კი ბისკეინი. აშშ. ლიპტონის ჩემპიონატი. ტარდება ჰარდზე. საპრიზო 4,6 მილიონი დოლარი

### კაცები

მეორე წრის შეხვედრები კი ბისკეინის ცენტრალურ კორტზე სოჭელი ევგენი კაფელნიკოვისა (6) და სლავა დოსედელის მატჩით გაიხსნა. ძნელი ასახსნელია, რას მოელოდნენ ტურნირის ორგანიზატორები ჩეხისა და რუსის ორთაბრძოლისგან, ჩოგბურთი ხომ ჰოკეი არ არის, მაგრამ დილაადრიან ტრიბუნებზე კანტი-კუნტად მჯდომმა, ჭრელა-ჭრულა მაისურებსა და შორტებში გამოწყობილმა პუბლიკამ ტიპიური „საპახმელიო“ ანტიჩოგბურთი იხილა, ისეთი, ტაშის დაკვრას სამადლოდაც რომ შეგაზარებს და თამაშის ნახვას ცხელ ფლორიდულ მზეზე გარუჯვას რომ გარჩევინებს...



ანა კურნიკოვა

მატჩის დასაწყისს კიდევ არა უშავდა, ჩოგბურთელები ორი-სამი დარტყმის გაცვლას მაინც ახერხებდნენ, მაგრამ ერთ-ერთ გეიმში კაფელნიკოვმა ერთბაშად 7 ბრეიკ-პოინტი (!) ვერ გამოიყენა და შეხვედრისადმი ყოველგვარი ინტერესი დაკარგა. თუ რუსს მოძრაობა და ხელის ქნევა ეზარებოდა, ჩეხი პირიქით — შეცდომებს იმიტომ უშვებდა, რომ ხან ზედმეტი ძალით ურტყამდა, ხანაც ბურთის დასაწევად საკმარისზე მეტს, ან საკმარისზე სწრაფად გარბოდა. ორმხრივმა საცოდაობამ სეტი ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა, სადაც 5:3-ით დაწინაურებულმა ჟენიამ თავი მორიგი „გმირობით“ დაისამარა — ორივე დარჩენილ მოწოდებაზე ორმაგი შეცდომა დაუშვა და ხელი მეტოქეს გადაულოცა.

თუ რუსი მანამდე ცოტას მაინც ცოდვილობდა, მეორე სეტში იმასაც შეეშვა: თავად ქალების დონის სისწრაფით მოწოდებას მიჰყო ხელი, მეტოქისაზე კი მაყურებლის თვალის ასახვევადაც კი აღარ ექანებოდა. სანამ „ევროსპორტის“ დაბნეული კომენტატორები კორტზე მიმდინარე მოვლენების ასახსნელად ტვინს იჭყლეტდნენ და ყველაფერს ხან რუსის სავარაუდო ტრავმას აბრალებდნენ, ხანაც უხმურ ხასიათს, ჩეხი 5:2 დაწინაურდა და მატჩ-პოინტების დროც დადგა. თითქოს ეს ტანჯვა მალე უნდა მორჩენილიყო, მაგრამ ახლა დოსედელი გაოჩნდა — შეცდომას შეცდომა მიაყოლა და ასაბარგებლად გამზადებულ მეტოქეს ანგარიში გაათანაბრებინა. რუსს მატჩის გაგრძელება არაფრად ეპიტნავა, მაგრამ სხვა გზა აღარ იყო და ტაი-ბრეიკის თამაშმა მაინც მოუწია, ის კი არა, თავისდა გასაოცრად, ორი სეტის შემდეგ ანგარიშიც კი გაათანაბრა. ასე რომ, მაყურებელთა გულის გასახეთქად, იყო მესამე ხელიც, რამდენიმე ათეული შეცდომაც, შუა პარტიაში გადაღლილი დოსედელისთვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენაც და კიდევ ერთი ტაიბრეიკიც, რომელიც, წინა ორის მსგავსად, 7:5 დამთავრდა, ამჯერად რუსის სასარგებლოდ, ისევე, როგორც მთელი ეს სამსაათიანი ფარსი 6:7 (5:7), 7:6 (7:5), 7:6 (7:5). „მატჩის შუაგულში თავს ისე ცუდად ვგრძნობდი, თამაშის მალე დამთავრებაზე ვოცნებობდი, მაგრამ სლავამ შესაძლებლობა არ მომცა და ანგარიში რომ გავათანაბრე, ვიფიქრე, ასე მოგებაც კი შეიძლება-მეთქი. ისე, მაყურებლების ადგილზე ყოფნას დღეს ნამდვილად არ ვისურვებდი — ორივენი ერთიმეორეზე საძაგლად ვთამაშობდით“ — აღიარა მოგვიანებით კაფელნიკოვმა.

მეორე წრეში ერთი სენსაცია მაინც მოხდა — ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებულმა, ავსტრალიელმა პატრიკ რაფტერმა (4) მამაპაპური კეხიანი ცხვირით გამორჩეულ ამერიკელ ვინს სპედეას ვერაფერი მოუხერხა და ორ სეტში დამარცხდა 3:6, 5:7. წააგო ლიპტონის ტურნირის შარშანდელმა ფინალისტმა სერხი ბრუგერამაც (13), რომელსაც ჰოლანდიელმა ინკოგნიტო დენის ვან შეპინგენმა აჯობა 6:3, 4:6, 6:3.

**მეორე წრე: პიტ სამპრასი (1, აშშ) — ხავიერ სანჩესი (ესპანეთი) 6:1, 6:2; პეტერ კორდა (2, ჩეხეთი — რამონ დელგადო (პარაგვაი) 6:2, 7:6 (7:5); გრეგ რუზეცკი (5, ინგლისი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:3, 6:1; გუსტავო კერტენი (10, ბრაზილია) — ფრანსისკო როიგი (ესპანეთი) 3:6, 6:2, 7:6 (7:3); ანდრე აგასი (აშშ) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 6:2, 6:3; ალექს კორეჩა (8, ესპანეთი) — ჯიმ კურიე (აშშ) 7:6 (13:11), 6:3; იონას ბიორკმანი (7, შვედეთი) — ლეანდერ პაესი (ინდოეთი) 6:3, 6:4; სტივ კემპბელი (აშშ) — მარკ ფილიპუსისი (15, ავსტრალია) 3:6, 6:3, 6:3.**

„ამ ტურნირზე გამარჯვება ძალიან მჭირდება. ბოლოლა პირველობის მოგებითა და ძლიერი ჩაგბურთელების დამარცხებით საბოლოოდ დავარწმუნებ საკუთარ თავს, რომ ამჟამად კარიერაში საუკეთესო ფორმაში ვარ“ — განაცხადა მსოფლიოს ყველაზე პოპულარულმა ჩოგბურთელმა ანდრე აგასიმ მორიგი მეტოქის გზიდან ჩამოცილების შემდეგ. მესამე წრეში თავხოტორა ამერიკელის მოწინააღმდეგე რაფტერის მძლეველი თანამემამულე ვინს სპედეა იყო.

მატჩი, ბევრისთვის მოულოდნელად, დაძაბული და მეტად თვალსასეირო გამოდგა. ჩოგბურთელები კი ცოტაოდენ თაღლითობასაც არ ერიდებოდნენ: აგასი ახალგაზრდა მეტოქის ტემპის დასაგდებად ხშირად იწუნებდა ბურთებს და გვერდითა მსაჯებს დაუღალავად ედავებოდა, სპედეა კი თავისი მწვრთნელის, მარი პირსის შერეკილი მამის — ჯიმი პირსისკენ იყურებოდა წამდაუწუმ მითითებათა მისაღებად. გულშემატკივარი არც მახლობლად მცხოვრებ ახალგაზრდა ამერიკელს აკლდა, მაგრამ აგასის ერთი არაჩვეულებრივი გათამაშების შემდეგ, როდესაც გამოუვალი მდგომარეობიდან ბურთის ზედ ხაზზე ჩაგდება მოახერხა, მთელი ტრიბუნები ფეხზე წამოუდგა. ამანაც პატივი შეიფერა და თეატრალურ პოზაში კარგა ხანს გაჩერდა, თან კეპიც მოიხადა და თეთრი თავი მზეზე აალაპლაპა. საბოლოოდ ანდრემ, რომელსაც ლიპტონში სამჯერ გაუმარჯვია, ორ სეტში 6:4, 7:5 მოიგო.

**მესამე წრე: მარსელო რიოსი (3, ჩილე) — ტომი ჰაასი (30, გერმანია) 6:4, 6:3; ევგენი კაფელნიკოვი — იან სიმერინკი (28, ჰოლანდია) 6:4, 7:6 (7:5); ალბერტ კოსტა (19, ესპანეთი) — სედრიკ პიოლინი (14, საფრანგეთი) 7:6 (8:6), 3:6, 6:3; გორან ივანიშევიჩი (20, ხორვატია) — დენის ვან შეპინგენი (ჰოლანდია) 6:3, 6:4.**

### ქალები

მეორე წრის შეხვედრებიდან ყველაზე დიდ ინტერესს ორი 16 წლის ვუნდერკინდის — რუსი ანა კურნიკოვასა და ხორვატი მირიანა ლუჩიჩის შეხვედრა იწვევდა, რომლის გამოც ცენტრალური კორტის გარეშე დარჩნენ ვარსკვლავები — იანა ნოვოტნა და მონიკა სელეში.

ჩოგბურთის მომავლად შერაცხული თინეიჯერები აქამდე მხოლოდ ერთხელ შეხვედრიოდნენ ერთმანეთს საჩვენებელ მატჩში, რომელიც ხორვატის გამარჯვებით დასრულებულა, თუმცა ამჯერად „მთელი“ 9 თვით უფროსი ანას უპირატესობა აშკარა იყო. „ცოტა უცნაური მატჩი იყო, მე ხომ უკვე დიდი ხანია, ჩემზე უმცროსთან არ მითამაშია, თუმცა ვიცოდი, რომ თუ იმას გავაკეთებდი, რაც დაგეგმილი მქონდა, მოგება არ გამიჭირდებოდა“ — განაცხადა კურნიკოვამ. „გამაცდილი“ რუსისგან განსხვავებით, ლუჩიჩი შესამჩნევად ნერვიულობდა, ყველა ბურთს მთელი ძალით ურტყამდა და მოწოდებაზეც რვა ორმაგი გაიხერხა, რის შედეგადაც 30 უნებლიე შეცდომა და 56 წუთში წაგებული მატჩი შერჩა ხელში. კურნიკოვას მორიგი მეტოქე ოთხთვიანი შესვენების შემდეგ კორტზე დაბრუნებული მონიკა სელეში იქნება, რომელმაც მეორე წრეში რის ვაი-ვაგლახით დაამარცხა ესპანელი მარია ანტონია სანჩეს ლორენცო 6:4, 6:7 (2:7), 6:3. „ეს ახალ გამოცდილებას შემძენს, მონიკასთან არასოდეს მითამაშია, მაგრამ მას დიდ პატივს ვცემ“.

რუმინელი ირინა სპირლეა (10) კი ისევ ვერ ასცდა უილიამსების ოჯახის წარმომადგენელს. ამერიკის ღია პირველობის ნახევარფინალში ვინუს უილიამსისგან გაგდებულმა, ამისი გიჟი მამისგან ნაგინებნალანძღევმა და ავსტრალიაში უმცროსი დის — სერენასგან ძლეულმა ირინამ ასპარეზობა ისევ ამ უკანასკნელთან 6:7 (4:7), 0:6 წაგებით დაასრულა. როგორც აღმოჩნდა, სპირლეას დამარცხებაზე მეტად 16 წლის სერენას მათემატიკა უჭირს: „ალგებრაში სკოლაში ყოველთვის ჩამოვრჩები. ეს საგანი, უბრალოდ, ნერვებს მიშლის. ზოგიერთი რამე ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად გამოიყენება, მაგალითად, ფიზიკა და იგი მიყვარს კიდეც, მაგრამ ალგებრის დანიშნულება ვერ გავიგე“. მარტინა ჰინგისისგან განსხვავებით, სერენას ჯერჯერობით შეიდნიშნა ჰონორარებთან არ ჰქონია საქმე.

**მეორე წრე: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ჩანდა რუბინი (აშშ) 6:1, 6:0; ამანდა კუტცერი (6, სამხრეთ აფრიკა) — ალესია დეშომ-ბალრე (საფრანგეთი) 5:7, 6:3, 6:3; არანჩა სანჩეს-ვიკარიო (8, ესპანეთი) — ში ტინგ ვანგი (ტაივანი) 4:6, 6:4, 6:2; კონჩიტა მარტინესი (9, ესპანეთი) — ანა სმეშნოვა (ისრაელი) 6:4, 6:2; ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) — დომინიკ ვან რუსტი (15, ბელგია) 6:1, 1:0 ტრავმა.**

სერენა და ვინუს უილიამსებმა ნახევარფინალში შესაძლო შეხვედრისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს. მესამე წრეში უფროსმა დამ — ვინუსმა ბელარუსი ოლგა ბარაბანშიკოვა დაჩაგრა 6:2, 6:1. სერენამ კი გამოცდილი ავსტრიელი ბარბარა პაულუსი გააგდო 6:3, 6:2. ისე, დების ჭიდილს წინ ერთი დიდი დაბრკოლება უდგას — მსოფლიოს 17 წლის პირველი ჩოგანი — მარტინა ჰინგისი, რომელიც სერენას მეოთხედფინალში უნდა გადაეყაროს. ჩვენში დარჩეს და ამ უკანასკნელის მიერ შავტუხა დების მიყოლებით გაბითურება უფრო სავარაუდო, ვიდრე ოჯახური დუელის ხილვა: მარტინა ლიპტონს შესანიშნავ ფორმაში შეხვდა და თუ მეორე წრეში ჩანდა რუბინს ერთი გეიმი კიდევ დანება, მეთექვსმეტედფინალში სამხრეთაფრიკელი ჯოანეტ კრუგერი სულ მშრალზე დატოვა 6:0, 6:0.

**მესამე წრე: ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) — ფანგ ლი 3:6, 6:1, 6:3; იანა ნოვოტნა (3, ჩეხეთი) — იანა კანდარი (გერმანია) 6:3, 4:6, 6:3; ამანდა კუტცერი — ნატაშა ზვერევა (19, ბელარუსი) 7:5, 6:3; სანდრინ ტესტიუ (13, საფრანგეთი) — ლორი მაკნეილი (აშშ) 6:3, 6:3; ანკე ჰუბერი (14, გერმანია) — საბინე აპელმანსი (18, ბელგია) 6:7 (4:7), 6:4, 6:4; სილვია ფარინა (იტალია) — აი სუგიამა (16, იაპონია) 6:3, 7:5.**

**ავთანდილ სვანიძე**



ანდრე აგასი ავტოგრაფებს ვერ აუდის

## ავტორბოლა

# მენსელი ფორდით ბრუნდება



ნაიჯელ მენსელი

ფორმულა 1-ის ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი ნაიჯელ მენსელი ბრუნდება, ოღონდ არა ფორმულა 1-ში. იგი მონაწილეობას მიიღებს „ბრიტიშ ტურინგ კარ ჩემპიონშიფის“ წრიულ ავტორბოლებში. 43 წლის ბრიტანელი „ფორდ-მონდეოს“ ავტომობილით იასპარეზებს, გუნდში კი მისი პარტნიორები ვილ ჰოი და კრეიგ ბაირდი იქნებიან.

„მოხარული ვარ, რომ მონაწილეობას მივიღებ ერთ-ერთ საუკეთესო ჩემპიონატში, სადაც გამარჯვება რთული და საპატიოა. „ფორდი“ ჩემს გვერდით იყო ჩემი კარიერის დასაწყისში. სწორედ მისი მეშვეობით შედგა ჩემი დებიუტი „ფორმულა ფორდიში“, შემდეგ „ლოტუს-ფორდით“ ფორმულა 1-ში, „ფორდის“ ძრავიანი „ლოლათი“ კი „ინდიკარის მსოფლიო სერია“ მოვიგე. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, რომ „ფორდ-მონდეოთი“ დავბრუნდე“ — განუცხადა ჟურნალისტებს მენსელმა.

„ფორდის“ დირექტორი მარტინ ვაიტეკერიც ერთობ კმაყოფილია: „ნაიჯელს უდიდესი გამოცდილება აქვს სარბოლო მანქანის მომზადება-გამართვაში და ეს მეტად სასარგებლო იქნება „ფორდ-მონდეოსთვის“.

რბოლების ორგანიზატორი ალან გო მენსელს თანამედროვეობის უდიდეს პილოტს უწოდებს და ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნევს.

მაშ ასე, „დიდი ნაიჯი“ ბრუნდება და 1993 წლის შემდეგ პირველად იასპარეზებს ბრიტანეთის ტრასებზე.

# ფრანგული შესწორება: რბოლა ბურთაობის ჟამს

8 მარტს ავსტრალიაში გამართული პირველი რბოლისა და საფრანგეთის დიდი პრიზის აღდგენის შემდეგ ფია-მ საბოლოოდ დაამტკიცა ფორმულა 1-ის მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის კალენდარი:

| | | |
|---|---|---|
| 29 მარტი | ბრაზილიის დიდი პრიზი | სან პაულუ |
| 12 აპრილი | არგენტინის დიდი პრიზი | ბუენოს აირესი |
| 26 აპრილი | სან მარინოს დიდი პრიზი | იმოლა |
| 10 მაისი | ესპანეთის დიდი პრიზი | ბარსელონა |
| 24 მაისი | მონაკოს დიდი პრიზი | მონტე კარლო |
| 7 ივნისი | კანადის დიდი პრიზი | მონრეალი |
| 28 ივნისი | საფრანგეთის დიდი პრიზი | მანი კური |
| 12 ივლისი | ბრიტანეთის დიდი პრიზი | სილვერსტოუნი |
| 26 ივლისი | ავსტრალიის დიდი პრიზი | A-1 რინგი |
| 2 აგვისტო | გერმანიის დიდი პრიზი | ჰოკენჰაიმი |
| 16 აგვისტო | უნგრეთის დიდი პრიზი | ჰუნგარორინგი |
| 30 აგვისტო | ბელგიის დიდი პრიზი | სპა-ფრანკორშამპი |
| 13 სექტემბერი | იტალიის დიდი პრიზი | მონცა |
| 27 სექტემბერი | ლუქსემბურგის დიდი პრიზი | ნიურბურგრინგი |
| 1 ნოემბერი | იაპონიის დიდი პრიზი | სუძუკა |

*ბარემ იმასაც შევახსენებთ, რომ საფრანგეთის დიდი პრიზისთვის რბოლა ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის ორი მერვედფინალური მატჩის დღეს ემთხვევა.*

## მძლეოსნობა

# არაბებმა ებრაელებს აქაც აწყენინეს

მაროკოს მთავრობამ ქვეყანაში შესასვლელი ვიზები არ მისცა ებრაელ მორბენლებს, რომლებსაც ამ ქვეყანაში დაგეგმილ მსოფლიოს ჩემპიონატში უნდა ემონაწილევათ.

ებრაელთა თერთმეტკაციანი გუნდი სამ დღეს პარიზში იყო და მაროკოს დედაქალაქ მარაკეშიდან პასუხს ელოდა, ახლა კი იმედგაცრუებული გაბრუნდა შინ. გუნდის უფროსობამ აღნიშნა, რომ ვიზებზე უარის თქმას პოლიტიკური მოტივი უდევს სარჩულად. მაროკოელებმა კი ის მოიმიზეზეს, ებრაელთა უსაფრთხოებაზე პასუხს ვერ ვაგებთო.

მსოფლიოს მძლეოსანთა თავკაცმა პრიმო ნებიოლომ იმედგაცრუება ვერ დამალა და ასევე გაიმეორა, ეს ყველაფერი არაბთა და ებრაელთა პოლიტიკური წინააღმდეგობების ბრალიაო.

## ცურვა

# ჩინელები აღარ იბუტებიან

გერმანიის ქალაქ გელზენკირხენში მიმდინარე ცურვის მსოფლიო თასის ცხრიდან მეშვიდე ეტაპზე თავისუფალი სტილით 100-მეტრიან გაცურვაში რუსმა ალექსანდრ პოპოვმა იმარჯვა.

ოლიმპიურმა ჩემპიონმა პოპოვმა 48,06 წამი მოანდომა გამარჯვებას და ლამის წამით აჯობა მეორე ადგილზე გასულ გერმანელ მიტია ზასტროვს.

ზასტროვმა 48,79 წამი დახარჯა დისტანციის დასაფარად და მოულოდნელი მეორე ადგილი მოიპოვა. უპირველეს ფავორიტად ჩათვლილი ავსტრალიელი მაიკლ კლიმი მხოლოდ მესამე იყო (48,93).

„უკეთეს დროს ვაჩვენებდი, დაძაბულობა რომ მეგრძნო“, ასე შეაფასა პოპოვმა კლიმის იმედისგამაცრუებელი გამოსვლა. კლიმმა მანამდეც ვერ ივარგა, როცა 50-მეტრიანი ბატერფლაი წააგო კანადელ გარეტ პულთან.

ჩინელები, რომლებიც სადოპინგო სკანდალებით არიან მოსილნი და მსოფლიო თასის ბოლო შეჯიბრებებზე პროტესტის ნიშნად არ აგზავნიდნენ ხალხს, ამჯერად გელზენკირხენში გამოჩნდნენ.

ჩინელთა ქალმა, 100 მეტრზე მსოფლიოს რეკორდსმენმა ჰუ შიპოვენმა 200-მეტრიან დისტანციაზე იმარჯვა. მან 2,22,84 წუთში გაცურა და 0,84 წამით ჩამოიტოვა უკრაინელი იანა კლოჩკოვა. მეორე ჩინელმა ქალმა, 50-მეტრზე ბრასში მსოფლიოს რეკორდის მფლობელმა ჰან შუემ ბრასის 100-მეტრიანი დისტანცია მეორე შედეგით დაასრულა და მხოლოდ კანადელ ტარა სლოუნს ჩამორჩა.

ქალთა შორის კვლავ გამოიჩინა თავი მსოფლიოსა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ავსტრალიელმა სუზი ო ნილმა, რომელმაც ორი გამარჯვება იზეიმა 200 მეტრზე თავისუფალ სტილში და 100 მეტრზე ბატერფლაიში.

## ბრძოლა წესების გარეშე

# მოკვდა კაცი...

## უკრაინელს ამერიკელი ჩემპიონი შემოაკვდა

31 წლის იყო ის უბედური, ესე იგი, საკმაოდ გამოცდილი, სახელი და წოდებაც მეტი რა გინდა — მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულსა ფლობდა, ბრძოლის წინ იქნებ არც არა ედარდებოდა და ჩვეულ-ამერიკულადაც ყინჩობდა და იბრიქებოდა, ბოლოსდაბოლოს, „სადღაც“ უკრაინაში გვარს რომ ვერ ამოთქვამ, იმისთანა ვინმეს უნდა ვეჩხუბოო...

იქნებ არც იყო ასე, იქნებ ფრთხილობდა და შიშობდა კიდეც, მაგრამ ახლა ამას არანაირი მნიშვნელობა აღარა აქვს — მოკვდა კაცი...

დღეს კვირამდელს კიევში ერთმანეთს შეებნენ წესების გარეშე ბრძოლაში ამერიკელი მსოფლიოს ჩემპიონი დეიჩ დაგლასი და ხარკოველი ევგენი ზოლოტარიოვი, რის შემდეგაც უგონო, ტვინში სისხლჩაქცეული დაგლასი კიევის ნეიროქირურგიის ინსტიტუტში გააქანეს, ერთი დღე რეანიმაციით აცოცხლეს, მაგრამ ამ ქვეყანას ველარ მოაბრუნეს — საცოდავი ამერიკელი მებრძოლი გონსმოუსვლელად აღესრულა.

რეგულარული ჩემპიონატი

# სელიანე აღარც ჩანს

### რეინჯერსი 3:4 დეტროიტი

შაიბები: მოლტბი 12 (0:1), დრეიპერი 11 (0:2), ლიდსტრიომი 16 (0:3), ბრაუნი 14 (0:4), კოვალიოვი 14 (1:4), სუინი 11 (2:4), კოვალიოვი 15 (3:4)

### ფილადელფია 5:4 რეინჯერსი

შაიბები: სავარი 1 (0:1), სუნდსტრიომი (0:2), დეიგლი 13 (1:2), სილინჯერი 16 (2:2), ბრინდამორი 31 (3:2), გრეცკი 19 (3:3), კლეიტი 12 (4:3), გრეცკი 20 (4:4), პოდინი 9 (5:4)



რეინჯერსი — დეტროიტი. კირკ მოლტბის (მარცხნივ) პირველი გოლი

მოკლედ, რეინჯერსს დიდი ჯადოქრის ძალისხმევაც არ შველის. შაბათსა და კვირას, გრანდებთან უმძიმეს მატჩებში უეინ გრეცკიმ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო, მაგრამ მისი გუნდი ორჯერვე დამარცხდა.

თუმცა დეტროიტთან შეხვედრაში მოვლენების ამგვარ განვითარებას ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე. უკვე 37-ე წუთისთვის სტუმრები 0:4 იგებდნენ, ნიუიორკელებს კი, ფაქტობრივად, არაფერი გამოსდიოდათ. მაგრამ უეინი დანებებას არ აპირებდა. არასტაბილურობით ცნობილ რუს კოვალიოვთან პარტნიორობამ ის შედეგი გამოიღო, რომ ანგარიში მინიმუმამდე შემცირდა, მაგრამ მესამე შაიბის შემდეგ დარჩენილ ცხრა წუთში სტუმრებმა საიმედოდ ჩაკეტეს იგი და გამარჯვება შეინარჩუნეს. გრეცკი მომდევნო მატჩშიც ყურადღების ცენტრში იყო. უხეირო დებიუტის შემდეგ ფილადელფიელებმა ინიციატივა წაართვეს მეტოქეს და ბრინდამორის დარტყმის შემდეგ დაწინაურდნენ კიდეც. მაგრამ უეინმა კვლავ იტვირთა გოლეადორობა — ორჯერ გაათანაბრა ანგარიში, ერთხელ კი, ძირითადი დროის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე, მოულოდნელი შორეული დარტყმით გააოგნა მეკარე ბურკი. და მაინც, ნიუიორკელებმა ქულაც გაუშვეს ხელიდან და ახლა ბოლო იმედებს მთავარ კონკურენტ ოტავასთან თამაშზე ამყარებენ, რომელიც ოთხშაბათს გაიმართება.

### მონრეალი 4:5 ანაჰაიმი

შაიბები: ბენჰემი 4 (0:1), რექი 28 (1:1), სელიანე 45 (1:2), იანგი 12 (1:3), სანდსტრიომი 8 (1:4), რექი 29 (2:4), სელიანე 46 (2:5), ჰოგლუნდი 9 (3:5), ჰოგლუნდი 10 (4:5)

### ოტავა 2:5 ანაჰაიმი

შაიბები: ბენჰემი 5 (0:1), სელიან 47 (0:2), იაშინი 29 (1:2), რუჩინი 13 (1:3), სელიანე 48 (1:4), დაკელი 13 (2:4), სელიანე 49 (2:5)

ვინ თქვა, რომ ცალკეულ მოთამაშეებს მატჩის ბედის გადაწყვეტა არ ძალუძთ?! თამაში არ გაეა, მუდმივი პარტნიორის, პოლ კარიას გარეშე დარჩენილმა ტეემუ სელიანემ, ახლახან რომ მოიშუშა ტრავმა, ეს არ დაადასტუროს. ფინელმა სნაიპერმა ისე ჩამოიშორა უახლოესი მდევრები, ჩემპიონატის ბოლომდე მასთან გათანაბრების ყოველგვარი შანსი მოუსპო. ჩამორჩენილთ ნუგეშად ისღა დარჩენიათ, ტეემუს ისევ ტრავმამ შეუშალოს ხელი.

20 მარტი. ოტავა — ვანკუვერი 1:1, ვაშინგტონი — ნიუ ჯერსი 2:0, დალასი — კაროლინა 6:1, კალგარი — აილენდერსი 4:1.

21 მარტი. პიტსბურგი — ფილადელფია 4:3, ბუფალო — ბოსტონი 1:2, ნიუ ჯერსი — ვაშინგტონი 3:2, ტამპა — ფლორიდა 5:1, ტორონტო — ვანკუვერი 1:1, ედმონტონი — სენტ ლუისი 2:0, სან ხოსე — კოლორადო 0:2, ლოს ანჯელესი — ფინიქსი 3:1

22 მარტი. ჩიკაგო — ბოსტონი 1:0, დალასი — პიტსბურგი 0:0, ფინიქსი — სან ხოსე 3:1, კალგარი — სენტ ლუისი 5:3, ედმონტონი — აილენდერსი 1:3.

პიტსბურგელმა ფრენსისმა ნჰლ-ში 17-წლიანი მოღვაწეობით ნამდვილად დაიმსახურა ის მხურვალე ოვაციები, რომლითაც თავდამსხმელი „პინგვინთა“ ქომაგებმა შაბათს დააჯილდოვეს. მეორე პერიოდის მიწურულს მან ზუსტი გადაცემით მოძებნა მცველი ფრედრიკ ოლაფსონი და მანაც შორეული დარტყმით დალაშქრა ფილადელფიელი ჰექსტოლის კარი. პიტსბურგელთა პლეიმეიკერი კი ამიერიდან ლიგის ისტორიას მეშვიდე მცველად შემორჩება, რომელმაც მე-1000 პასი მიითვალა.

ისიც საგულისხმოა, რომ მასპინძლებს კიდევ ერთი იუბილის — საკლუბო ისტორიაში მე-1000 გამარჯვების აღნიშვნა შეეძლოთ და აკი არც გაუშვეს ხელიდან ეს შანსი. ამ ღირსსახსოვარ მოგებაში, ფრენსისის გარდა, მისმა მუდმივმა პარტნიორებმა — იაგრმა (1+1,32) და ბარნსმა (3 პასი) დაიდეს ლომის წილი. სწორედ ფრენსისმა გაათანაბრა ანგარიში მეორე პერიოდში, ჩეხმა სუპერფორვარდმა კი გადამწყვეტი შაიბა შეაგდო. აღსანიშნავია, რომ ამ სამეულმა სამჯერ გამოიყენა რიცხვმრავლობა, ერთ-ერთი გოლი კი მას შემდეგ გავიდა, რაც ფილადელფიელმა ლაკრუამ „მფრინავთა“ ლიდერის გამნაწყენებელთან დარიუს კასპარაიტისთან ანგარიშსწორება სცადა. რაც შეეხებათ სტუმრებს, მათგან ჯონ ლეკლერის 42-ე შაიბაა გამოსარჩევი.

მეორე დღეს პიტსბურგს არანაკლებ მძიმე პაექრობა ელოდა დასავლეთის ლიდერ დალასთან და „პინგვინთა“ სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ სტუმრებმა შეძლეს თამაშის მათთვის ხელსაყრელ მშვიდ ტემპში წარმართვა. საბოლოოდ, სახიფათო მომენტებით არცთუ მდიდარი შეხვედრა სეზონში მე-6 უგოლო ზავით დასრულდა და მეკარეთათვის იღბლიანი გამოდგა: დალასელი ედ ბელფორი (მე-9 „მშრალი“ მატჩი) და პიტსბურგელი ტომ ბარასო (მე-7 „შათაუტი“) ლიგის ყველაზე „მშრალ“ გოლკიპერს, ჰაშეკს მიუახლოვდნენ.

სიტყვამ მოიტანა და, ჩიკაგოელ ჰეკეტსა და ედმონტონელ ჯოზეფზეც ვიტყვით. ჩიკაგოში ანგარიში მასპინძელმა რასელმა (1) თამაშის მე-4 წუთზე გახსნა და მას შემდეგ ჰეკეტმა ბოსტონელი „დათვების“ ყველა შეტევა (26) მოიგერია. ამით მან „მშრალი“ მატჩების რაოდენობა 8-მდე გაზარდა. თუმცა, მეკარის წარმატებაზე ძვირად თავად „ქორების“ მოგება ფასობს, რადგან ჩიკაგოელთა კონკურენტებმა — ედმონტონმა და სან ხოსემ უქმეებზე ქულები დაკარგეს, რამაც „ჰოუკსს“ დასავლეთში მე-6 ადგილზე აღზევების საშუალება მისცა.

ედმონტონმაც შეძლო პლეი-ოფში ფაქტობრივად უკვე მოხვედრილი სენტ ლუისის ძლევა, რაშიც უდიდესია ზემოხსენებული ჯოზეფის წვლილი. „მენავთობეების“ მეკარე, რომელიც თავის დროზე სწორედ „ბლუზმენთა“ ღირსებას იცავდა, ბოლო ათ დღეში მესამე „მშრალი“ მატჩით იწონებს თავს. არც მისი პარტნიორები მსხდარან გულხელდაკრეფილნი: უეიტმა (24) და მიურეიმ ორი უშედეგო პერიოდის შემდეგ ედმონტონის სასარგებლოდ შეატრიალეს თამაშის ბედი. უნდა ითქვას, რომ სენტ ლუისს სერიოზული ტრავმის შემდეგ პირველად დაუბრუნდა ერთ დროს სწორედ ჯოზეფში გაცვლილი მეკარე გრანტ ფიური.

მეორე დღეს კი ედმონტონმა მეტად დასანანი მარცხი იწვნია აილენდერსთან შეხვედრაში. ორი თანაბარი პერიოდის შემდეგ მასპინძლებმა ტემპს უმატეს და თითქოსდა ჩაკეტეს მეტოქე თავის ზონაში, მაგრამ ნიუიორკელებმა ორი მწვავე კონტრშეტევით (ორივე გუნდის ახალმა კაპიტანმა, ექს-ვანკუვერელმა ლინდენმა (12) დააგვირგვინა) გააცამტვერეს ედმონტონელთა იმედები.

სანხოსელმა „ზვიგენებმა“ კი უქმეებზე განცდილი ორი მარცხი საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. შაბათს კალიფორნიელებს მრისხანე კოლორადოელები ესტუმრნენ, თუმცა ამ შეხვედრას „ეველანში“ უფრო უნდა შეეშინებინა, რადგან ფავორიტს წლეულს ძალიან უჭირს თანადივიზიონელებთან თამაში. მასპინძლები ამჯერადაც უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ, როგორც მატჩის შემდეგ მათმა ფორვარდმა ტონი გრენატომ განაცხადა, ფსიქოლოგიური უპირატესობა რის მაქნისია, თუკი მაინც წააგებ. მართლაც, კოლორადოელთა ლიდერების მაღალმა კლასმა თავისი ქნა: 49-ე წუთზე კამენსკიმ (25) და ფორსბერგმა (ზედიზედ მე-9 თამაშია, ქულებს აგროვებს) კარგი კომბინაცია გაითამაშეს და რუსმა ანგარიში გახსნა. მასპინძლები არც მეკარე რუამ (მე-4 „შათაუტი“) გაახარა.

ასეთი დამაჯერებელი თამაშის შემდეგ (მანამდე სანხოსელები დალასსაც ტოლსწორად ეპაექრნენ) „ზვიგენებს“ ერთ-ერთი უშუალო კონკურენტის, ფინიქსის ძლევის გარკვეული იმედი ჰქონდათ, მით უმეტეს, რომ „კოიოტებს“ კარგა ხანია, ორი წამყვანი თავდამსხმელი აკლიათ, მაგრამ ასეთ გადამწყვეტ მომენტში ძალიან კარგად ითამაშეს გუნდის ვეტერანებმა ტოკეტმა (1+1,22) და გარტნერმა (12), რომლებმაც სამივე შაიბაში უშუალო მონაწილეობა მიიღეს.

ვაშინგტონისა და ნიუ ჯერსის ორდღიანი დუელი ფრედ დამთავრდა. აღსანიშნავია, რომ ნიუჯერსელმა „ეშმაკებმა“, რომლებიც აღმოსავლეთის ერთპიროვნული ლიდერები არიან და მანამდე 13-მატჩიანი იღბლიანი სერია ჩაატარეს, ერთობ უხეიროდ ითამაშეს სტუმრად და მათი სატურნირო მდგომარეობის საკადრისად სულაც არ გამოიყურებოდნენ. საკმარისია ითქვას, რომ 60 წუთის განმავლობაში სტუმრებმა მხოლოდ ერთი-ორი სახიფათო მომენტი შექმნეს გერმანელი კოლციგის კართან (მის ანგარიშზე ზედიზედ ორი „მშრალი“ მატჩია) და დედაქალაქელებსაც ბონდრას 43-ე გოლის შემდეგ არ გასჭირვებიათ გამარჯვების მოპოვება. მეორე დღეს კი „კეპიტალსის“ კარში რენფორდი ჩადგა და ამ გარემოებამ, ეტყობა, სასიკეთოდ იმოქმედა „ეშმაკებზე“ — მათ უდავო უპირატესობაზე ისიც მეტყველებს, რომ უმცირესობაში ლიგაში გამორჩეულად მოთამაშე გუნდს 2 გოლი გაუტანეს. საინტერესოა, რომ ვაშინგტონელთაგან ორივე შაიბა მცველმა კლომ შეაგდო, რომელსაც მანამდე ჩატარებულ 46 თამაშში ერთადერთხელ გამოეჩინა თავი.

კალგარიმ უქმეებზე ორჯერ გაიმარჯვა და ორჯერვე უხვგოლიანობით გაამწარა მეტოქეები. კვირას სენტლუისელებს მათი საუკეთესო სნაიპერის ჯეფ კურტნოლის ჰეთ-თრიქმაც (27) ვერ უშველა. მას შემდეგ, რაც „ბლუზმენმა“ ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა, კალგარიმ ინიციატივა არ გაუშვა ხელიდან და ფლერიმ (1+2,24) ცარიელ კარში გატანაც მოასწრო. სამწუხაროდ, ბოლოდროინდელი გამოცოცხლება „ალების“ საქმეს მაინცდამაინც არ დასტყობია — წინ მყოფი გუნდებისგან საკმაოდ დიდი სხვაობა აშორებთ.

ოტავამ თავისი მთავარი კონკურენტის, რეინჯერსის უიღბლობით ვერ ისარგებლა და შინ ვანკუვერთან ფრეს ანაჰაიმთან მარცხიც მოაყოლა. პაველ ბურეს 42-ე გოლის შემდეგ მასპინძლებმა, დიდი უპირატესობის მიუხედავად, ანგარიშის გათანაბრების მეტი ვერაფერი მოახერხეს და ამჟამად ნიუიორკელებს მხოლოდ 5 ქულით უსწრებენ.

ლოსანჯელესელმა ბლეიკმა მორიგი გოლით მცველთაგან პირველმა მიაღწია 20-შაიბიან ზღვარს, ხოლო ფლორიდელმა „პანტერებმა“ თავიანთი ზედიზედ 12-მარცხიანი სარეკორდო ჩავარდნა ვერც ლიგის აუტსაიდერ ტამპასთან შეწყვიტეს. მეტიც, მაჩანჩალა „ელვებმა“, რომელთაც 28 თებერვლის შემდეგ 4 გოლზე მეტი ვერ გაეტანათ, გაანადგურეს მეტოქე თანაც ხუთივე შაიბა უთანაბრო შემადგენლობისას შეაგდეს და რიცხვმრავლობის ოთხჯერ გამოყენებას ერთი უმცირესობაში გატანილიც მიამატეს. განსაკუთრებული ქების ღირსნი არიან ტამპის ევროპელი ლეგიონერები: შვედმა რენბერგმა (8+1,13) ამ სეზონში პირველი ჰეთ-თრიქი შეასრულა, ხოლო გუნდის [illegible] ესტონელი [illegible] სელივანოვმა 3 (1+2) ქულა მიითვალა.



ტორონტო — ვანკუვერი. ტორონტოელ მაკკოლის (18) ვანკუვერელებისგან მაგრად მოხვდა

### სამეულ ლარიბიანი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ჩრდილო აღმოსავლეთი | | | | |
| პიტსბურგი | 36 | 15 | 19 | 196:161 | 87 |
| ბოსტონი | 31 | 13 | 25 | 180:162 | 75 |
| მონრეალი | 32 | 9 | 28 | 198:175 | 73 |
| ბუფალო | 28 | 15 | 25 | 173:159 | 71 |
| ოტავა | 27 | 12 | 30 | 163:174 | 66 |
| კაროლინა | 26 | 7 | 34 | 161:184 | 59 |
| | ატლანტიკა | | | | |
| ნიუ ჯერსი | 42 | 9 | 18 | 194:135 | 93 |
| ფილადელფია | 36 | 11 | 21 | 204:159 | 83 |
| ვაშინგტონი | 32 | 11 | 26 | 183:175 | 75 |
| რეინჯერსი | 22 | 17 | 31 | 176:197 | 61 |
| აილენდერსი | 23 | 10 | 35 | 175:193 | 56 |
| ფლორიდა | 18 | 12 | 38 | 159:214 | 48 |
| ტამპა | 16 | 9 | 43 | 134:215 | 41 |
| | ცენტრი | | | | |
| დალასი | 42 | 11 | 16 | 210:137 | 95 |
| დეტროიტი | 38 | 13 | 19 | 211:166 | 89 |
| სენტ ლუისი | 36 | 8 | 26 | 205:168 | 80 |
| ჩიკაგო | 28 | 11 | 30 | 168:165 | 67 |
| ფინიქსი | 27 | 12 | 31 | 189:197 | 66 |
| ტორონტო | 24 | 9 | 36 | 156:198 | 57 |
| | წყნარი ოკეანე | | | | |
| კოლორადო | 36 | 16 | 19 | 209:175 | 88 |
| ლოს ანჯელესი | 32 | 11 | 25 | 197:179 | 75 |
| ედმონტონი | 27 | 10 | 34 | 179:199 | 64 |
| სან ხოსე | 27 | 7 | 35 | 165:184 | 61 |
| კალგარი | 22 | 13 | 34 | 185:209 | 57 |
| ანაჰაიმი | 23 | 10 | 37 | 171:217 | 56 |
| ვანკუვერი | 21 | 13 | 37 | 195:242 | 55 |

სნაიპერები: სელიანე (ანაჰაიმი) 49, ბონდრა (ვაშინგტონი) 43, ლეკლერი (ფილადელფია) და ბურე (ვანკუვერი) 42, პალფი (აილენდერსი) 37, ტკაჩუკი (ფინიქსი) 36, ნიუინდაიკი (დალასი) და იაგრი (პიტსბურგი) 32, ბრინდამორი (ფილადელფია) 31.

ასისტენტები: ფორსბერგი (კოლორადო) 63, გრეცკი (რეინჯერსი) 58, იაგრი 57, ფრენსისი (პიტსბურგი) 56, ოუთსი (ვაშინგტონი) 52, შტუმპელი (ლოს ანჯელესი) 49, ფლერი (კალგარი) 45, ელისონი (ბოსტონი) და ჯენი (ფინიქსი) 43, ლინდროსი (ფილადელფია), კოივუ (მონრეალი) და ზუბოვი (დალასი) 40.


სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოლუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

სტილისტები:
მია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29



მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია
Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები
ფასები გაგაკვირვებთ
ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840
e-mail dato@acacia.postnet.ge